	გ. ნიორაძის სახ. მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი	0,0	50,4	50,4	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	50,4	50,4	

	სამეგრელოს სამხარეო-სამეცნიერო ცენტრი	0,0	51,1	51,1	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	51,1	51,1	
	ირ. აბაშიძის სახ. ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია	0,0	100,0	100,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	100,0	100,0	
	საცდელ-საჩვენებელი სატყეო მეურნეობა	0,0	90,4	90,4	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	90,4	90,4	
	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პროგრამები	0,0	417,8	417,8	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	417,8	417,8	
32 15 07	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია	1 802,0	1 697,1	1 697,1	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 802,0	1 697,1	1 697,1	0,0
32 15 07 01	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი	354,9	400,0	400,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	354,9	400,0	400,0	
32 15 07 02	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები და სამეცნიერო დაწესებულებები	1 447,1	1 297,1	1 297,1	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 447,1	1 297,1	1 297,1	0,0
	მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	0,0	244,1	244,1	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	244,1	244,1	
	ს/მ მექანიზაციის და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	0,0	117,8	117,8	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	117,8	117,8	
	მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	0,0	111,3	111,3	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	111,3	111,3	
	ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	0,0	70,9	70,9	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	70,9	70,9	
	აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკის და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	0,0	70,7	70,7	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	70,7	70,7	
	მეფუტკრეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	0,0	30,2	30,2	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	30,2	30,2	

	აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	0,0	112,9	112,9	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	112,9	112,9	
	მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	0,0	188,6	188,6	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	188,6	188,6	
	მეფრინველეობის საცდელი სადგური	0,0	19,6	19,6	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	19,6	19,6	
	ლაგოდეხის საცდელი სადგური „თამბაქო“	0,0	10,5	10,5	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	10,5	10,5	
	მეცხოველეობისა და საკვებწარმოების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	0,0	44,1	44,1	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	44,1	44,1	
	ს.ს. კულტურების მავნებელთა ბიობრძოლის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი	0,0	14,3	14,3	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	14,3	14,3	
	აჭარის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრი	0,0	13,3	13,3	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	13,3	13,3	
	ჩაის, სუბტროპიკული კულტურების, ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	0,0	172,5	172,5	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	172,5	172,5	
	კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	0,0	70,3	70,3	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	70,3	70,3	
	სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრი	0,0	6,0	6,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	6,0	6,0	
32 15 08	მეცნიერთა სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები	2 500,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	2 500,0	0,0		
32 16	მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიების კომიტეტი	16,3	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	5,5	0,0	0,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	11,4	0,0	0,0	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	2,3	0,0	0,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	2,6	0,0	0,0	0,0
32 16 01	მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიების კომიტეტის აპარატი	16,3	0,0	0,0	0,0

	მომუშავეთა რიცხოვნობა მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები სხვა საქონელი და მომსახურება	5,5 11,4 2,3 2,6	0,0 0,0 0,0 0,0		
32 17	უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების ხარჯები	12 050,0	10 915,0	2 564,5	8 350,5
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	12 050,0	10 915,0	2 564,5	8 350,5
32 17 01	საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი	12 050,0	10 915,0	2 564,5	8 350,5
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	12 050,0	10 915,0	2 564,5	8 350,5

2006–2009 წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ძირითადი სტრატეგიები:

- სკოლამდელი, ზოგადი, სკოლის გარეშე, პროფესიული და უმაღლესი განათლების სრულყოფა;
- სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის გატარება;
- განათლების სექტორის მართვის სისტემის და მატერიალური ბაზის გაუმჯობესება;
- მშობლის მზრუნველობას მოკლებულ ბავშვზე ზრუნვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება;
- მეცნიერების მართვის სისტემის გარდაქმნა.

- სკოლამდელი, ზოგადი, სკოლის გარეშე, პროფესიული და უმაღლესი განათლების სრულყოფის მიზნები:

- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სწავლების უზრუნველყოფა;
- განათლების ღიაობა და მთელი სიცოცხლის მანძილზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიისა და სასწავლებლების მართვის დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბება;
- ეროვნული შეფასების და ეროვნული სასწავლო გეგმების შემუშავების სისტემის ჩამოყალიბება;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების ახალი სისტემის ამოქმედება;
- ინკლუზიური განათლების დამკვიდრების ხელშეწყობა;
- პედაგოგთა შრომის ანაზღაურების გაუმჯობესება;
- შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული კადრების მომზადება.

აღნიშნულის მისაღწევად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პირდაპირი დაფინანსების პროგრამა გულისხმობს მოსწავლეთა ,,per capita“ პრინციპით დაფინანსებას, ანუ ყოველი ბავშვის სწავლების ინდივიდუალური დაფინანსების შემოღებას, საჯარო სკოლაში პედაგოგთა ხელფასების მოწესრიგებას, სკოლების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებას და მათი მენეჯმენტის მოწესრიგებას;

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოლიმპიადები და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს მოსწავლე-ახალგაზრდობის წახალისებას ცოდნის დონის ასამაღლებლად და მათ კვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბებას. პროგრამის ფარგლებში:

  - ჩატარდება საგნობრივი ოლიმპიადები;
  - განხორციელდება საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მომზადება და გაგზავნა საერთაშორისო ოლიმპიადებზე;
  - ჩატარდება ნორჩ ეკოლოგთა ტურნირი;
  - ჩატარდება უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა კონფერენცია-კონკურსი სხვადასხვა დისციპლინებში;
  - გამოიცემა საგანმანათლებლო ჟურნალი;
  - განხორციელდება გამარჯვებულთა დაჯილდოება გრანტებით და სტიპენდიებით;
  - გამოვლინდებიან საუკეთესო მასწავლებლები და სკოლები, მათთვის გრანტების მინიჭების მიზნით.

- ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ტესტების მომზადების პროგრამა მიზნად ისახავს ობიექტური და ადეკვატური შეფასების საშუალებების შექმნას მისაღები გამოცდებისათვის მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში ჩასარიცხად. აღნიშნული გამოცდების ჩატარება დაგეგმილია 2009 წელს, მას შემდეგ რაც 2005 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდაგავლილი სტუდენტები დაამთავრებენ ბაკალავრიატის საფეხურს;

- განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტიპენდიებისა და გრანტების მინიჭების პროგრამა მიზნად ისახავს ახალგაზრდობის შემოქმედებითი და ინტელექტუალური საქმიანობის ხელშეწყობას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტიპენდია და ჯილდო შემოქმედებითი და ინტელექტუალური განვითარებისთვის გამიზნულია 7-დან 26 წლამდე ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, რომლებიც განსაკუთრებულ ნიჭს ავლენენ ხელოვნების, მეცნიერების, სპორტის, მედიცინის, გამომგონებლობისა და სხვა სფეროებში. სტიპენდიებს ნიშნავს და ჯილდოებს ანიჭებს სამინისტროსთან არსებული კომისია;

- სკოლის გარეშე დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამა ხელს უწყობს მოსწავლეთა სკოლის გარეშე დამატებით და არაფორმალურ (სტანდარტის ზემოთ), გონებრივ და ფიზიკურ აღზრდას. პროგრამით გათვალისწინებულია საგანმანათლებლო, სპორტული და პატრიოტული სკოლის გარეშე ღონისძიებების ჩატარება;

- ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი კურსების პროგრამა განკუთვნილია ეროვნული უმცირესობებისათვის, მაღალმთიანი და ეკოლოგიური მიგრაციისა და კონფლიქტის ზონებში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთათვის, მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის შთამომავლებისათვის და ტერიტორიული

მთლიანობისათვის დაღუპულთა შვილებისათვის, აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის;

- უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების პროგრამა ითვალისწინებს სამი საქართველოს მოქალაქის უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების მაგისტრატურაში სწავლების დაფინანსებას;

- დაწყებითი და საშუალო პროფესიულ-საგანმანათლებლო სასწავლებლების ხელშეწყობის პროგრამა ითვალისწინებს საქართველოში ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნას სწავლების უწყვეტობის, მრავალფეროვნების, მრავალსაფეხურიანობის საფუძველზე და მის ინტეგრაციას ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სისტემასთან, პროფესიული განათლების გარდაქმნას ღია, დინამიკურად განვითარებად სახელმწიფო-საზოგადოებრივ სისტემად, აგრეთვე პროფესიული განათლების ორიენტაციას ადგილობრივ (რეგიონალურ) მოთხოვნებზე;

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამის დაფინანსების საბაზოდან სახელმწიფო საგრანტო სისტემაზე გადასვლამ განაპირობა საბაზო დაფინანსების დინამიკის ეტაპობრივი კლებადობა და შესაბამისად სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების ზრდა;

- სახელმწიფო სასწავლო გრანტის პროგრამა ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების საბაზო დაფინანსებიდან სახელმწიფო საგრანტო დაფინანსებაზე გადასვლას, რამაც გამოიწვია პროგრამის ბიუჯეტის ყოველწლიური ზრდის დინამიკა;

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეფორმების ხელშეწყობის პროგრამა ითვალისწინებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეფორმების მიმდინარეობის სტრუქტურულ, საკადრო, სოციალურ და მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას;

- მოსწავლეთა ანტიკორუფციული აღზრდის სასწავლო პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის შემუშავებული დანაშაულისა და კორუფციის საწინააღმდეგო განათლების მოდელის აპრობირებას და სასწავლო პროცესებში დანერგვას.

მოსალოდნელი შედეგები:

- შეიქმნება ავტონომიურ საგანმანათლებლო დაწესებულებათა უწყვეტი განათლების გამჭოლი სივრცე;
- გაუმჯობესდება სწავლების ხარისხი და კურსდამთავრებულთა მომზადების დონე;
- შეიქმნება განათლების დაფინანსების ახალი სისტემა;
- შეიქმნება უმაღლესი პროფესიული განათლების სისტემა;
- შეიქმნება პროფესიული განათლების ცენტრები;
- შეიქმნება პედაგოგთა მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა;
- შეიქმნება სასწავლებლების აკრედიტაციის დამოუკიდებელი სისტემა;

- სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელების მიზნები:

- სახელმწიფო ენის მასწავლებელთა სოციალური დაცვა;
- სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეთათვის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი სახელმწიფო ენის შემსწავლელი სისტემის ფორმირება;

- სახელმწიფო ენის შესწავლის მოტივაციის ამაღლება;
- კონფლიქტის ზონებში და ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში;
- ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, ინსტიტუციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა.

აღნიშნულის მისაღწევად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:

- სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს არაქართულენოვანი მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებსა და საზღვრისპირა რაიონებში არსებულ სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელმწიფო ენის სწავლების განსაკუთრებული ღონისძიების ჩატარებას, რომლის ფარგლებში ადგილობრივ და მიწვეულ პედაგოგებზე თანამდებობრივი სარგოს გარდა განისაზღვრება და გაიცემა გრანტი, აგრეთვე სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეთათვის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი სახელმწიფო ენის შემსწავლელი სისტემის ფორმირებას, სახელმწიფო ენის შესწავლის მოტივაციის ამაღლებას, ცხინვალის რეგიონის ახალგაზრდების ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში, საჯარო მოხელეთა პროფესიულ გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, საკადრო დეფიციტის დაძლევას საქართველოს რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობების და სახელმწიფო ადმინისტრაციის სტრუქტურების მოხელეთა პროფესიული გადამზადების გზით;
- საზღვარგარეთ ქართული სკოლებისათვის დახმარების პროგრამა მიზნად ისახავს ქართული სკოლებისათვის დახმარების გაწევას სახელმძღვანელოებითა და სწავლისათვის საჭირო სხვა დამხმარე საშუალებებით;
- სასკოლო პარტნიორობის ღონისძიებები მიზნად ისახავს საქართველოში მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობას, ეროვნებებს შორის ენობრივი, კულტურული და საკომუნიკაციო ბარიერის დაძლევას, სასკოლო პარტნიორული ქსელის ჩამოყალიბებას. აღნიშნულის ფარგლებში დაფინანსდება პროექტები შემდეგი პარტნიორი წყვილებისათვის: ქართულ-აზერბაიჯანული, ქართულ-სომხური, ქართულ-ოსური, ასევე ქართულ-რუსული და ქართულ-ბერძნული სკოლებისათვის;
- არაქართულენოვან სკოლებში სახელმძღვანელოების სუბსიდირება მიზნად ისახავს საქართველოში არსებული არაქართულენოვანი სკოლებისათვის ადაპტირებული სახელმძღვანელოების შექმნას და მათ სუბსიდირებას.

მოსალოდნელი შედეგები:

- ჩამოყალიბდება სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეებისათვის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი სახელმწიფო ენის შემსწავლელი სისტემა;
- ამაღლდება ქართული ენის ცოდნის დონე არაქართულენოვან მოსახლეობაში;
- საქართველოს ყველა რეგიონი უზრუნველყოფილი იქნებიან კომპეტენტური სახელმწიფო მოხელეებით;
- არაქართულენოვანი სკოლები უზრუნველყოფილი იქნება სახელმძღვანელოებით.

- განათლების სექტორის მართვის სისტემის და მატერიალური ბაზის გაუმჯობესების მიზნები:

- განათლების სისტემის ორგანიზაციული სრულყოფა და მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვა;
- სკოლების ტექნიკური ბაზის შევსების უზრუნველყოფა;
- სკოლებში სასწავლო პროცესის კომპიუტერიზაციის პროგრამის განხორციელება;
- საჯარო სკოლების, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობა-ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია და შემდგომი სრულყოფა.

აღნიშნულის მისაღწევად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- მას შემდეგ, რაც რეგიონალური სასკოლო ოლქებისა და განათლების რაიონული განყოფილებების რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა 100 განათლების რესურს-ცენტრი, მათი მეშვეობით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ატარებს სასწავლო-საგანმანათლებლო პოლიტიკას, ახორციელებს სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგთა და ხელმძღვანელთა გადამზადებას;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგს, რაც ითვალისწინებს სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალ დაწესებულებებში მონიტორინგის ჩატარებას, აღნიშნულ დაწესებულებებში არსებული საერთო მდგომარეობის დადგენის მიზნით;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციას. აღნიშნული მიზნად ისახავს საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამისობაში მოყვანას აკრედიტაციით გათვალისწინებულ პირობებთან. პროგრამა შეიცავს სამ ქვეპროგრამას: 1. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური აკრედიტაცია და მათი სალიცენზიო პირობების გადამოწმება; 2. დაწყებითი პროფესიული და საშუალო პროფესიული სასწავლებლების სასწავლო ნორმებთან და სალიცენზიო პირობებთან შესატყვისობის დადგენა; 3. კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ლიცენზირების პირობებთან შესატყვისობის დადგენა.
- პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაციას აღნიშნული შედგება 4 სამშენებლო-სარეაბილიტაციო („იაკობ გოგებაშვილი-საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია“, „გიორგი ნიკოლაძე – სპორტული მოედნების რეაბილიტაცია“, „პროფესიული სასწავლებლების რეაბილიტაცია“, „უმაღლესი სასწავლებლების რეაბილიტაცია“) და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის „ირმის ნახტომი“ პროგრამებისაგან. ეს პროგრამა მოწოდებულია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესებით აამაღლოს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხი საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ამ პროგრამის ფარგლებში გარემონტდება, ჩაუტარდება გამაგრებისა და რეაბილიტაციის სამუშაოები საქართველოს 200-მდე საჯარო სკოლას, 100-მდე საჯარო სკოლაში მოეწყობა ღია ტიპის სპორტული მოედანი, პროფესიული განათლების ახალი კონცეფციის შესაბამისად მოხდება საპილოტე პროფესიული სასწავლებლების აღდგენა და აღჭურვა. აკრედიტებულ სახელმწიფო „უმაღლეს საგანმათლებლო დაწესებულებებში, რომლებშიც მიმდინარეობს უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი რეფორმები, მოხდება მატერიალურ ტექნიკური ბაზის სრულყოფა და ამორტიზებული შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია. პროგრამის „ირმის ნახტომი“ მეშვეობით განხორციელდება საქართველოს სკოლებში ეროვნულ დონეზე ინფორმაციულ—საკომუნიკაციო ტექნოლოგიების

ინფრასტრუქტურის შექმნა, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის მოდერნიზება. 2006 წელს პროგრამით გათვალისწინებულია საპილოტე სკოლების უზრუნველყოფა კომპიუტერული კლასებით, მასწავლებელთა ტრენინგებით, სკოლებისათვის საგრანტო კონკურსების ორგანიზებით და დამხმარე სასწავლო პროგრამების შექმნით.

მოსალოდნელი შედეგები:

- შეიქმნება განათლების სექტორის მართვის ახალი სისტემა, როგორც ცენტრალურ ისე რეგიონალურ დონეზე;
- შეიქმნება საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დამოუკიდებელი სისტემა;
- სასწავლო პროცესში დაინერგება თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები;
- მოხდება საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და აღდგენა-რეაბილიტაცია.

- მშობლის მზრუნველობას მოკლებულ ბავშვზე ზრუნვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების მიზნები:

- ბავშვზე ზრუნვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ჰარმონიზება;
- ბავშვზე ზრუნვის სფეროს დაფინანსების სისტემის სრულყოფა და არსებული ფინანსური სახსრების ეფექტიანი გამოყენება;
- ბავშვთა დაცვის სფეროს მატერიალური და საკადრო უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

აღნიშნულის მისაღწევად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:

- პროგრამა „ბავშვზე ზრუნვა“ და მასში შემავალი ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა–პანსიონების, ბავშვთა სახლების, დახურული ტიპის სპეციალური სკოლებისა და სარეაბილიტაციო ცენტრების, დამხმარე სანატორიული და სპეციალიზებული საბავშვო სკოლა-პანსიონების ხელშეწყობის პროგრამების ფარგლებში ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც დახმარებას უწევს პროგრამის მზრუნველობის ქვეშ მყოფი აღსაზრდელების ადაპტაციას, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობას და ამის შედეგად აღსაზრდელების საზოგადოებაში ინტეგრაციას და მათ სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბებას, ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო ქსელის ოპტიმიზებას და რეაბილიტაციას;
- ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლების, სკოლა-პანსიონების და განსაკუთრებული რეჟიმის ბაგა-ბაღებისა და სკოლა-პანსიონების დახმარების ალტერნატიული ფორმების პროგრამა მიზნად ისახავს სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის განსაკუთრებული პირობების შექმნას, რათა მოხდეს მათი სოციალიზაცია და საზოგადოებაში მაქსიმალური ინტეგრაცია. აღნიშნულის შედეგად სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მოხვედრის თავიდან აცილებას ბავშვების რეინტეგრაციის გზით თავიანთ ბიოლოგიურ ოჯახებში და პროფესიული შვილობილობის სისტემის განვითარებას იმ ბავშვებისათვის, რომლებიც საჭიროებენ მოკლე ან გრძელვადიან მზრუნველობას, ინსტიტუციური დაწესებულებების

ტრანსფორმაციას, ინსტიტუციური დაწესებულებების ქსელის ოპტიმიზებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რაციონალურად გამოყენებას, ოპტიმიზაციის შედეგად ადამიანური რესურსების გადანაწილებას. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: ინსტიტუციონალური მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების დაბრუნება თავიანთ ბიოლოგიურ ოჯახებში სათანადო პირობების შემთხვევაში, სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვთა განათლება, მათი რეგისტრაციის სისტემის სრულყოფა, დასვენება-გაჯანსაღება.

მოსალოდნელი შედეგები:

- დაინერგება მშობლის მზრუნველობას მოკლებულ ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმები;
- მოხდება ინსტიტუციურ დაწესებულებათა ქსელის რაციონალიზაცია;
- ჩამოყალიბდება მშობლის მზრუნველობას მოკლებულ ბავშვზე ზრუნვის სფეროს დაფინანსების ახალი სისტემა;
- გაუმჯობესდება ინსტიტუციური დაწესებულებების მატერიალური ბაზა.

- მეცნიერების მართვის სისტემის გარდაქმნის მიზნები:

- სამეცნიერო სისტემის რეფორმირება;
- სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ატესტაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება;
- მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების ინტეგრირება;
- მეცნიერთა სოციალური უზრუნველყოფა;
- სამეცნიერო კვლევების კონკურენტულ საფუძვლებზე დაფინანსება;
- რეალური პოტენციალის მქონე ტექნოლოგიების განვითარება.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს მეცნიერების ხელშეწყობის პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს:

– სამეცნიერო სფეროში არსებული მდგომარეობის შეფასებას და შედარებით ანალიზს;

– მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ეროვნული კონცეფციის შემუშავებას და ევროპულ ხედვასთან შესაბამისობაში მოყვანას;

– მეცნიერების და უმაღლესი განათლების სისტემის ინტეგრირების პრინციპების ჩამოყალიბებას;

– სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტული მიმართულებების დადგენას;

– მეცნიერების სისტემის ორგანიზაციის, მართვის და დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავებას და ამოქმედებას;

– სამეცნიერო ცენტრების განვითარების პროგრამის შემუშავებას და განხორციელებას;

– სამეცნიერო კადრების გაძლიერებისა და ახალგაზრდა მკვლევარების სტიმულირების პროგრამების შემუშავებას და რეალიზებას;

– ქართული მეცნიერების და მეწარმეობის ინოვაციური პოტენციალის შეფასებას და კვლევების შედეგების კომერციალიზაციის პროგრამების შემუშავებას;

– სადოქტორო პროგრამების სრულყოფას;

– ქართული კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერული კვლევების ხელშეწყობას;

– მეცნიერებისა და ინოვაციების ეროვნული მუზეუმის შექმნას;

– მეცნიერთა სოციალური დახმარების პროგრამების განხორციელებას.

მოსალოდნელი შედეგები

– შეიქმნება სამეცნიერო კვლევების ორგანიზების და მართვის ახალი სისტემა;

– შემუშავდება კვლევითი პროექტების შერჩევის მეთოდები და ამოქმედდება სამეცნიერო კვლევების დაფინანსების სისტემა კონკურსის საფუძველზე;

– შემუშავდება და ამოქმედდება სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციის მხარდაჭერის სისტემა;

– ამოქმედდება ახალგაზრდა სპეციალისტების სამეცნიერო საქმიანობაში მოზიდვისა და ჩართვის პროგრამები;

– განხორციელდება სამეცნიერო ცენტრების განვითარების პროექტები.

მუხლი 48. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

განისაზღვროს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 41 979.9 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2005 წლის გეგმა	2006 წლის გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ.კრედიტები და გრანტები
33 00	საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო	32 554,4	41 979,9	41 979,9	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	200,0	184,0	184,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	910,4	1 258,1	1 258,1	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	183,5	250,7	250,7	0,0
	მივლინებები	46,0	80,0	80,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	362,8	572,1	572,1	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	30 929,7	39 583,6	39 583,6	0,0
	კაპიტალური ხარჯები	122,0	235,4	235,4	0,0
33 01	საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს აპარატი	1 120,8	1 784,2	1 784,2	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	152,0	145,0	145,0	

	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება კაპიტალური ხარჯები	702,1 140,9 30,0 200,0 47,8	1 003,8 200,8 45,0 419,2 115,4	1 003,8 200,8 45,0 419,2 115,4	
33 02	ხელოვნების განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა	8 744,0	10 129,8	10 129,8	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	8 744,0	10 129,8	10 129,8	0,0
33 02 01	სახელოვნებო დაწესებულებათა ხელშეწყობის პროგრამა	7 713,4	8 469,8	8 469,8	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	7 713,4	8 469,8	8 469,8	0,0
	ქ. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბაზაზე	3 500,0	3 500,0	3 500,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	3 500,0	3 500,0	3 500,0	
	თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის ბაზაზე	1 000,0	1 000,0	1 000,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 000,0	1 000,0	1 000,0	
	თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის ბაზაზე	436,3	576,3	576,3	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	436,3	576,3	576,3	
	თბილისის მარიონეტების სახელმწიფო თეატრის ბაზაზე	0,0	150,0	150,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	150,0	150,0	
	თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრის ბაზაზე	279,0	279,0	279,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	279,0	279,0	279,0	
	თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრის ბაზაზე	245,0	245,0	245,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	245,0	245,0	245,0	
	ილიკო სუხიშვილის და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასის ბაზაზე	222,4	222,4	222,4	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	222,4	222,4	222,4	
	საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსაბლის „რუსთავი“ ბაზაზე	86,1	86,1	86,1	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	86,1	86,1	86,1	
	საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „ერისიონი“ ბაზაზე	124,0	124,0	124,0	0,0

	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	124,0	124,0	124,0	
	საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ბაზაზე	82,0	82,0	82,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	82,0	82,0	82,0	
	საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის ბაზაზე	505,0	505,0	505,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	505,0	505,0	505,0	
	ჯ. კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალური ცენტრის ბაზაზე	0,0	400,0	400,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	400,0	400,0	
	ეროვნული კინოცენტრის ბაზაზე	850,0	1 300,0	1 300,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	850,0	1 300,0	1 300,0	
	ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ბაზაზე	59,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	59,0	0,0	0,0	
	მესხეთის (ახალციხის) სახელმწიფო დრამატული თეატრის ბაზაზე	62,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	62,0	0,0	0,0	
	თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზის ბაზაზე	111,4	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	111,4	0,0	0,0	
	ტელეკომპანია „მირი“	107,5	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	107,5	0,0		
	საქართველოს ლადო ასათიანის სახელობის სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკა	43,7	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	43,7	0,0		
33 02 02	ეროვნული უმცირესობების კულტურის განვითარების პროგრამა	190,0	290,0	290,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	190,0	290,0	290,0	0,0
	თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრის ბაზაზე	95,0	95,0	95,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	95,0	95,0	95,0	
	თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრის ბაზაზე	95,0	95,0	95,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	95,0	95,0	95,0	
	ეროვნული უმცირესობების კულტურული ცენტრების მხარდაჭერის პროგრამა	0,0	100,0	100,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე	0,0	100,0	100,0	

	ტრანსფერები				
33 02 03	ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები	840,6	1 370,0	1 370,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	840,6	1 370,0	1 370,0	0,0
	ქართული პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარების პროგრამა	120,0	800,0	800,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	120,0	800,0	800,0	
	ქართული პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების პროგრამა	200,0	200,0	200,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	200,0	200,0	200,0	
	ლიტერატურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	400,6	220,0	220,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	400,6	220,0	220,0	
	საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა	20,0	150,0	150,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	20,0	150,0	150,0	
	ქართული პროფესიული სახვითი ხელოვნების განვითარების პროგრამა	50,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	50,0	0,0	0,0	
	საქართველოს სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამა	50,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	50,0	0,0	0,0	
33 03	საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების მხარდაჭერის პროგრამა	1 976,1	250,0	250,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 976,1	250,0	250,0	
33 04	სახელოვნებო და სასპორტო განათლების ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა	5 606,8	5 546,1	5 546,1	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	5 606,8	5 546,1	5 546,1	0,0
33 04 01	სახელოვნებო და სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	3 499,9	3 511,3	3 511,3	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	3 499,9	3 511,3	3 511,3	0,0
	თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბაზაზე	1 421,0	1 432,4	1 432,4	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 421,0	1 432,4	1 432,4	
	საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე	713,0	713,0	713,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	713,0	713,0	713,0	

	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ბაზაზე	1 032,0	1 032,0	1 032,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 032,0	1 032,0	1 032,0	
	საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდის და სპორტის აკადემიის ბაზაზე	333,9	333,9	333,9	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	333,9	333,9	333,9	
33 04 02	სახელოვნებო და სასპორტო პროფესიული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	2 106,9	2 034,8	2 034,8	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	2 106,9	2 034,8	2 034,8	0,0
	თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ქართული სამუსიკო გიმნაზიის ბაზაზე	413,2	413,2	413,2	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	413,2	413,2	413,2	
	თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ექსპერიმენტული სამუსიკო სკოლის ბაზაზე	424,5	212,3	212,3	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	424,5	212,3	212,3	
	თბილისის ევგენი მიქელაძის სახელობის საკრავიერი ხელოვნების კოლეჯის ბაზაზე	243,4	243,4	243,4	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	243,4	243,4	243,4	
	თბილისის №1 საშუალო პროფესიული სამუსიკო სასწავლებლის ბაზაზე	0,0	330,0	330,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	330,0	330,0	
	ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის ბაზაზე	236,2	236,2	236,2	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	236,2	236,2	236,2	
	თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის ბაზაზე	69,0	69,0	69,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	69,0	69,0	69,0	
	გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის ბაზაზე	170,0	85,0	85,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	170,0	85,0	85,0	
	საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯის ბაზაზე	91,4	45,7	45,7	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	91,4	45,7	45,7	
	თბილისის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის ბაზაზე	459,2	400,0	400,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	459,2	400,0	400,0	
33 05	კულტურული მემკვიდრეობის პროგრამები	3 234,0	4 887,3	4 887,3	0,0

	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	3 234,0	4 887,3	4 887,3	0,0
33 05 01	კულტურული მემკვიდრეობის სფეროს დაწესებულებათა ხელშეწყობის პროგრამა	1 729,3	2 687,3	2 687,3	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 729,3	2 687,3	2 687,3	0,0
	საქართველოს ეროვნული მუზეუმის ბაზაზე	1 217,0	2 200,0	2 200,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 217,0	2 200,0	2 200,0	
	საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ბაზაზე	59,7	59,7	59,7	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	59,7	59,7	59,7	
	საქართველოს ხალხური საკრავების სახელმწიფო მუზეუმის ბაზაზე	23,3	23,3	23,3	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	23,3	23,3	23,3	
	საქართველოს სამუზეუმო-საგამოფენო გაერთიანების „სურათების ეროვნული გალერეა“ ბაზაზე	99,4	99,4	99,4	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	99,4	99,4	99,4	
	საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ბაზაზე	96,7	96,7	96,7	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	96,7	96,7	96,7	
	საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ბაზაზე	27,1	27,1	27,1	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	27,1	27,1	27,1	
	ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის ბაზაზე	35,8	35,8	35,8	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	35,8	35,8	35,8	
	ქ. გორის ი.ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმის ბაზაზე	25,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	25,0	0,0	0,0	
	მუზეუმ-ნაკრძალებისა და ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის ბაზაზე	145,3	145,3	145,3	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	145,3	145,3	145,3	
33 05 02	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა	1 504,7	2 200,0	2 200,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 504,7	2 200,0	2 200,0	
33 06	კულტურისა და სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის პროგრამები	1 136,7	1 096,5	1 096,5	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 136,7	1 096,5	1 096,5	0,0

	სახალხო არტისტებისა და სახალხო მხატვრების სტიპენდიები	843,0	799,2	799,2	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	843,0	799,2	799,2	
	ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიები	93,7	97,3	97,3	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	93,7	97,3	97,3	
	ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარებების მიზნობრივი პროგრამა	200,0	200,0	200,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	200,0	200,0	200,0	
33 07	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი	4 811,2	4 867,1	4 867,1	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	41,0	32,0	32,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	208,3	210,8	210,8	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	42,6	41,2	41,2	0,0
	მივლინებები	16,0	35,0	35,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	162,8	145,0	145,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	4 307,3	4 315,1	4 315,1	0,0
	კაპიტალური ხარჯები	74,2	120,0	120,0	0,0
33 07 01	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის აპარატი	473,9	552,0	552,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	41,0	32,0	32,0	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	208,3	210,8	210,8	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	42,6	41,2	41,2	
	მივლინებები	16,0	35,0	35,0	
	სხვა საქონელი და მომსახურება	132,8	145,0	145,0	
	კაპიტალური ხარჯები	74,2	120,0	120,0	
33 07 02	სპორტის განვითარების პროგრამები და ღონისძიებები	4 051,9	4 060,1	4 060,1	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	30,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	4 021,9	4 060,1	4 060,1	0,0
	სპორტულ სახეობათა განვითარების სახელმწიფო ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა	3 271,9	3 310,1	3 310,1	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	3 271,9	3 310,1	3 310,1	
	საქართველოს ეროვნული და ოლიმპიური ნაკრების წევრთა და პერსპექტიულ სპორტსმენთა სტიპენდიები	500,0	500,0	500,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	500,0	500,0	500,0	
	საქართველოს რეგიონებში ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარების მიზნობრივი პროგრამა	250,0	250,0	250,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	250,0	250,0	250,0	

	სპორტის მუშაკთა, მწვრთნელთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნობრივი პროგრამა	30,0	0,0	0,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	30,0	0,0	0,0	
33 07 03	ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების პროგრამა	285,4	255,0	255,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	285,4	255,0	255,0	0,0
	განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის საპრეზიდენტო სტიპენდიები	185,0	185,0	185,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	185,0	185,0	185,0	
	საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის ბაზაზე	70,0	70,0	70,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	70,0	70,0	70,0	
	საქართველოს ბავშვთა ფედერაციის ბაზაზე	10,4	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	10,4	0,0	0,0	
	საქართველოს ახალგაზრდული ცენტრის „მზიური ველი“ ბაზაზე	20,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	20,0	0,0	0,0	
33 08	ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში სახელმწიფო პრემიების კომიტეტი	287,8	378,9	378,9	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	7,0	7,0	7,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	0,0	43,5	43,5	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	0,0	8,7	8,7	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	0,0	7,9	7,9	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	287,8	318,8	318,8	0,0
33 08 01	ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში სახელმწიფო პრემიების კომიტეტის აპარატი	57,7	60,1	60,1	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	7,0	7,0	7,0	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	0,0	43,5	43,5	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	0,0	8,7	8,7	
	სხვა საქონელი და მომსახურება	0,0	7,9	7,9	
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	57,7	0,0		
33 08 02	ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში სახელმწიფო პრემიების ფონდი	230,1	318,8	318,8	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	230,1	318,8	318,8	
33 09	საპრეზიდენტო ნაციონალური პროგრამები	5 597,0	13 040,0	13 040,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	5 597,0	13 040,0	13 040,0	0,0

	სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სპორტული ინვენტარის განახლების პროგრამა	2 000,0	4 200,0	4 200,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	2 000,0	4 200,0	4 200,0	
	პროგრამა ,,პატრიოტი“	1 467,0	3 500,0	3 500,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 467,0	3 500,0	3 500,0	
	ფეხბურთის მხარდაჭერის პროგრამა	0,0	800,0	800,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	800,0	800,0	
	საბალეტო ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების პროგრამა	1 640,0	1 640,0	1 640,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 640,0	1 640,0	1 640,0	
	პროგრამა ,,საჩუქარი ბავშვებს“	490,0	1 900,0	1 900,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	490,0	1 900,0	1 900,0	
	ფოლკლორის მხარდაჭერის ეროვნული პროგრამა	0,0	1 000,0	1 000,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	1 000,0	1 000,0	
33 10	უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების ხარჯები	40,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	40,0	0,0	0,0	0,0
33 10 01	სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის როლი ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელებაში	40,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	40,0	0,0		

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და სპორტისა და ახალგაზრდობის საქვეუწყებო დეპარტამენტის აპარატები

ხორცელდება სამინისტროს შტატების ოპტიმიზება, სტრუქტურული რეორგანიზაცია, სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტების გაერთიანება ერთ საქვეუწყებო დეპარტამენტად. სამინისტროს მომუშავეთა რიცხოვნება 2006 წლისათვის შემცირდება 50 ერთეულით. მოწესრიგდება სამინისტროს თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, სახელმწიფო ქონების დაცვის, სამინისტროს ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის ადეკვატურად დაფინანსების საკითხი.

ხელოვნების განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა

ხელოვნების განვითარების სტრატეგიული მიმართულება გულისხმობს ქართული თეატრის, მუსიკის, ლიტერატურის, კინოს, სახვითი, ქორეოგრაფიული, ხალხური ხელოვნების და საბიბლიოთეკო დარგის განვითარების ხელშეწყობას. პროგრამა

მოიცავს საერთო-ეროვნული მნიშვნელობის სახელოვნებო დაწესებულებათა თანადაფინანსებას, ეროვნული უმცირესობების კულტურის განვითარების პროგრამასა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს.

სახელოვნებო დაწესებულებათა ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მიზანია ქართული ხელოვნებისათვის მნიშვნელოვანი დაწესებულებების მხარდაჭერა, მათი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა, სამართლებრივ-ორგანიზაციული სტატუსის განსაზღვრა, მართვის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა, ადმინისტრაციული, ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფა და შემოქმედებით საქმიანობაში ჩაურევლობის უზრუნველყოფა.

ეროვნული უმცირესობების კულტურის განვითარების პროგრამა

პროგრამის მიზანია ეროვნულ უმცირესობათა კულტურის დაცვა და განვითარება, აზერბაიჯანელი და სომეხი მოსახლეობისათვის მათ ენაზე მომუშავე თეატრების მხარდაჭერა, კულტურული ცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული და თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო თეატრები. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ეროვნულ უმცირესობათა კულტურული ცენტრების მხარდაჭერა.

ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები

ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები ემსახურება ქართული თეატრალური, მუსიკალური, კინოხელოვნების, ლიტერატურის და საბიბლიოთეკო სფეროს განვითარებასა და ქართული ხელოვნების ტრადიციების შენარჩუნებას. 2004-2005 წლებში თანადაფინანსებით განხორციელდა 300-მდე პროექტი. მათ შორის, ჩატარდა არაერთი მნიშვნელოვანი ფესტივალი, კონცერტი, კონკურსი, მოექყო გამოფენა, ხელი შეეწყო ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას საზღვარგარეთ, ახალგაზრდა შემოქმედთა მონაწილეობას და გამარჯვებებს სხვადასხვა მნიშვნელოვან კონკურსში.

სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების საჯაროობის უზრუნველსაყოფად და მათი გამართული ფუნქციონირებისთვის სამინისტროში შექმნილია მაღალკვალიფიციური და ავტორიტეტული პროფესონალებისაგან დაკომპლექტებული დარგობრივი კომისიები, რომლებიც განსაზღვრავენ პროგრამების მიზნებს, პრიორიტეტებს, ადგენენ საკონკურსო პირობებს და აფასებენ პროექტებს.

ქართული კინოს განვითარების პროგრამა კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ბაზაზე

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიზანია ,,ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ქართული კინემატოგრაფიის არსებობისა და განვითარებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველყოფა და კოორდინაცია, სახელმწიფო

ბიუჯეტიდან და სხვა წყაროებიდან გამოყოფილი სახსრებით ქართული ფილმების წარმოებისა და გავრცელების ხელშეწყობა. ეროვნული კინოცენტრის ამოცანებია ქართული პროფესიული კინოკულტურის დაცვა, მისი განვითარება და პოპულარიზაცია, კინოს განვითარებისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და სრულყოფა, კინოფესტივალების, მასტერ-კლასების, კონფერენციებისა და სემინარების ჩატარება, საზღვარგარეთის კინოფესტივალებსა და კინობაზრობებში ქართული ფილმებისა და კინომოღვაწეების მონაწილეობის უზრუნველყოფა, კინოს ინფრასტრუქტურისა და კინოქსელისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის კოორდინაცია, კინოლიტერატურის გამოცემა, კინოგაქირავების აღდგენა და ა.შ.

პროგრამის პრიორიტეტებია:

- კინომემკვიდრეობის დაცვა (საქართველოში არსებული კინოფირების ერთ საცავში თავმოყრა, მათი კონსერვაციის, მოვლისა და შემდგომი აღდგენის მიზნით; ქართული ეროვნული კინოარქივისა და ეროვნული კინემათეკის დაარსება);
- ფილმწარმოების მხარდაჭერა (მთლიანი ბიუჯეტის 70% გამოიყოფა ფილმწარმოების მხარდასაჭერად);
- ქართული ფილმების მონაცემთა ბაზის შექმნა.

სახელოვნებო და სასპორტო განათლების ხელშეწყობის პროგრამა

სახელოვნებო და სასპორტო განათლება წარმოადგენს ქვეყნის კულტურისა და პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს შესაბამისი სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამულ დაფინანსებას.

სახელოვნებო და სასპორტო განათლების უწყვეტობის პრინციპის განხორციელების მიზნით სამინისტრო აფინანსებს სამივე რგოლის (სკოლა, სასწავლებელი, უმაღლესი სასწავლებელი) მნიშვნელოვან საგანმანათლებლო დაწესებულებებს დარგების გათვალისწინებით, რითაც უზრუნველყოფს ქვეყნისთვის აუცილებელი სპეციალისტების მომზადებას კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის სფეროში.

კულტურული მემკვიდრეობის პროგრამები

პროგრამის მიზანია საქართველოს უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის – არქეოლოგიური, სახვითი, მონუმენტური და არქიტექტურული ძეგლების, სამუზეუმო კოლექციებისა და ექსპონატების დაცვა, მათი მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ს. ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, „მუზეუმ-ქარვასლის“, გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიისა და ყოფის „ღია ცის ქვეშ მუზეუმის“ ბაზაზე დაფუძნდა „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“. რეფორმის მიზანია საქართველოში სამუზეუმო ცხოვრების გაჯანსაღება, სამუზეუმო სფეროში დასავლური სტანდარტების დანერგვა და მუზეუმების საექსპოზიციო-საგამოფენო, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ფუნქციის გაძლიერება, ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზება. ამასთან, უკვე განისაზღვრა სამუზეუმო ცხოვრების მიმართულებები

და ჩამოყალიბდა ინსტიტუციური მოწყობის მოქნილი მოდელი. ყალიბდება სახელმწიფოში სამუზეუმო პოლიტიკა – ერთიანი საგამოფენო, დაცვის, სამენეჯერო, საგანმანათლებლო, სამარკეტინგო მიმართულებებით.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა

პროგრამის მიზნებია კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურ ნიმუშთა გადარჩენა, მათი რესტავრაციის, კონსერვაციისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფა, ისტორიული ქალაქების (თბილისი, ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, სიღნაღი, გორი) კულტურული მემკვიდრეობის მართვის დოკუმენტაციის დადგენა, დაცვითი ზონების ლეგალიზაცია, დაფარვითი ინვენტარიზაციის უზრუნველყოფა, არქეოლოგიური ძეგლების აღრიცხვა და ლეგალიზაცია, უძრავ და მოძრავ ძეგლთა ინვენტარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბება, კულტურული მემკვიდრეობის არქივის შენარჩუნებისათვის თანამედროვე საშუალებების გამოყენება, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა (UNESCO, ICCROM–ი და სხვა), რეგიონალური მუზეუმების რეაბილიტაცია, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.

კულტურისა და სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის პროგრამები

სახალხო არტისტებისა და სახალხო მხატვრების, ოლიმპიური ჩემპიონების, ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების მიზნობრივი პროგრამები. პროგრამების ძირითადი მიზანია საქართველოს გამოჩენილი ხელოვანებისათვის, სოციალურად დაუცველი ვეტერანი სპორტსმენებისათვის, ოლიმპიური თამაშების, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებისათვის, პრიზიორებისათვის, ინვალიდი სპორტსმენებისა და ღვაწლმოსილი მუშაკებისათვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მათთვის დახმარების აღმოჩენა.

სპორტის განვითარების პროგრამები და ღონისძიებები

პროგრამის მიზანია საქართველოში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა.

სპორტულ სახეობათა განვითარების სახელმწიფო ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა

პროგრამის მიზანია საქართველოში სპორტის შემდგომი განვითარება, ქვეყნის ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები); საქართველოს ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარება, სპორტის

შემდგომი პოპულარიზაცია, სპორტული რეზერვის და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება.

საქართველოს ეროვნული და ოლიმპიური ნაკრების წევრთა, პერსპექტიულ სპორტსმენთა სტიპენდიბი

განხორციელება ამ მუხლის მე-13 პუნქტში მითითებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციის მიზნით.

16. მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის იმუნიზაციის კომპონენტით გათვალისწინებული ვაქცინებისა და შპრიცების შესყიდვა განხორციელდეს გაეროს ბავშვთა ფონდის მეშვეობით, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2006-2009 წლებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრატეგიები:

- მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება;
- საქართველოს მოსახლეობის სოციალური დაცვა;
- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს ფუნქციური და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა.

1. მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება

მიზნები:

- პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ხელშეწყობა;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებების გაძლიერება;
- საქართველოს მოსახლეობის უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა;
- მეორადი ჯანდაცვის რეფორმის ინიცირება.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:

- მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. პროგრამა უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი კვალიფიციური ამბულატორიული დახმარების გაწევას – ამბულატორიული მომსახურების საბაზისო პაკეტით გათვალისწინებული მოცულობით, ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სპეციალიზირებული ამბულატორიული დახმარება (ფთიზიატრიული, ფსიქიატრიული, ონკოლოგიური და ორსულთა პატრონაჟი). ასევე გათვალისწინებულია საქართველოს სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა (წვევამდელთა) სამედიცინო შემოწმებისა (შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში მუდმივმოქმედი სამხედრო სამედიცინო-საექსპერტო კომისიის მიერ წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისას შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი სამედიცინო გამოკვლევების ჩატარება და გაწვევას დაქვემდებარებული ყველა წვევამდელის ფლუროგრაფიული გამოკვლევა) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ამბულატორიული დახმარების კომპონენტი.
- პირველადი ჯანდაცვის განვითარების (მსოფლიო ბანკის კრედიტი) პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენს პირველადი ჯანდაცვის ახალი, მდგრადი მოდელის ეტაპობრივი დანერგვა. პროექტის ძირითადი ამოცანაა პირველადი ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობისა და უტილიზაციის გაუმჯობესება მოსახლეობაში,

განსაკუთრებით ღარიბ და უმწეო პოპულაციაში საოჯახო მედიცინისა და ზოგადი პრაქტიკის მოდელების გამოყენებით.

პროექტი შედგება სამი კომპონენტისაგან: პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მიწოდება, ინსტიტუციური განვითარება, პროექტის მართვა.

პროექტის ძირითადი ამოცანებია: ა) პირველადი ჯანდაცვის სისტემის რაციონალიზაცია/ოპტიმიზაცია; ბ) 180 პირველადი ჯანდაცვის ობიექტის და 5 რეგიონული ლაბორატორიის რეაბილიტაცია და აღჭურვა; გ) ქუთაისის პერინატალური ცენტრის დაარსება; დ) პირველადი ჯანდაცვის სფეროში პერსონალის მომზადების (ტრენინგის) შესაძლებლობების განვითარება; ე) პირველადი ჯანდაცვის სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო ნორმებისა და სტანდარტების შემუშავება, შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზის შექმნა; ვ) ჯანდაცვის დაფინანსების ალტერნატიული შესაძლებლობების ანალიზი და პირველადი ჯანდაცვის დაფინანსების რეფორმა; ზ) ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარება; თ) მოსახლეობის ინფორმირების, განათლებისა და კომუნიკაციის ეფექტიანი კამპანიის განხორციელება.

2006 წელს მოსალოდნელი შედეგები: გაიზრდება პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების მიერ მიწოდებული მომსახურების უტილიზაცია და ხელმისაწვდომობა; გაიზრდება პირველადი ჯანდაცვის მომსახურების ხარისხი.

– მოსახლეობის სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამა ქვეყნის მოსახლეობას უზრუნველყოფს ბაზისური პაკეტით გათვალისწინებული სტაციონარული დახმარებით. პროგრამით გათვალისწინებულია ფსიქიატრიული, ფთიზიატრიული, სამეანო დახმარების, გულის ქირურგიისა და ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის კომპონენტი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ინფექციურ და ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ბავშვთა სამედიცინო დახმარება, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისა და იმ ბავშვების სამედიცინო დახმარება რომლებიც საჭიროებენ მუდმივ ჩანაცვლებით თერაპიას, ურგენტული დახმარება; აგრეთვე, უზრუნველყოფილი იქნება ქვეყანაში რეფერალური სისტემის ფუნქციონირება, მოსახლეობისათვის დროული და მაღალკვალიფიციური გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა (პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა ,,სასწრაფო სამედიცინო დახმარება“).

პროგრამით 2006 წელს გათვალისწინებულია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის უზრუნველყოფა სამედიცინო დაზღვევით. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის კომპონენტი ითვალისწინებს ღარიბი მოსახლეობისათვის სახელმწიფოს ხარჯზე სამედიცინო დაზღვევის ბაზისური პაკეტის შესყიდვას. ბაზისური პაკეტი მოიცავს ინდივიდზე ორიენტირებულ სამედიცინო მომსახურების ხარჯებს და წარმოადგენს დამატებითი სოციალური დაცვის მექანიზმს, რომელიც დაიცავს (ფინანსურად) მოსახლეობის ღარიბ ფენას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში.

2006-2009 წლებში მოსალოდნელი შედეგები: მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება გეოგრაფიულად და ფინანსურად ხელმისაწვდომი სტაციონარული მომსახურებით, შემცირდება ორსულობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებული გართულებები, უზრუნველყოფილი იქნება დედათა და ახალშობილთა გარდაცვალების თავიდან აცილება და საქართველოს სამხედრო ძალების ჯანმრთელი კონტიგენტით შევსება, გაიზრდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ხარისხი და ხელმისაწვდომობა;

– სამედიცინო დაწესებულებების ოპტიმიზაციის პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული სამედიცინო დაწესებულებების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და აღჭურვას.

2006-2009 წლებში მოსალოდნელი შედეგები: განხორციელდება საზოგადოებრივ სექტორში დარჩენილ სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია, რემოდელირება და რეკონსტრუქცია; მიღწეულ იქნება საავადმყოფოთა შენობების, საწოლთა ფონდისა და პერსონალის ოპტიმალური მოცულობა, სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის სფეროსთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება; შეიქმნება საავადმყოფოების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; გაუმჯობესდება სამედიცინო მომსახურების ხარისხი.

– მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა ითვალისწინებს ინვალიდობის გამომწვევ და მძიმე ქრონიკულ დაავადებათა მქონე ავადმყოფების და სიცოცხლისათვის საშიში ზოგიერთი მდგომარეობისთვის აუცილებელი მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით უზრუნველყოფას.

2006-2009 წლებში მოსალოდნელი შედეგები: მოსახლეობის კონკრეტული ჯგუფები დაკმაყოფილდება სპეციფიკური მედიკამენტებით.

– სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის მიზანია საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული ფალსიფიცირებული, ვადაგასული და წუნდებული სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის გამოვლენა და აგრეთვე, სამკურნალო საშუალებების სარეგისტრაციო ნიმუშების ხარისხის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

2006-2009 წლებში მოსალოდნელი შედეგები: წამლით უკანონო ვაჭრობის შემცირება და შემდგომ აღკვეთა; ფალსიფიცირებული, ვადაგასული და წუნდებული სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის შემცირება და შემდგომ აღკვეთა; უსაფრთხო და მაღალეფექტიანი სამკურნალო საშუალებებით მოსახლეობის უზრუნველყოფა.

– ჯანმრთელობის ხელშეწყობის, დაავადებათა პრევენციის და ეპიდკონტროლის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს საზოგადოებაში ჯანმრთელობის ხელშეწყობას ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და ავადობის აქტიური გამოვლენის გზით, სოციალურად საშიშ დაავადებათა გამოვლენასა და გავრცელების შეზღუდვას. საქართველოში გავრცელებული ინფექციური სნეულებების, აგრეთვე ამჟამად არარეგისტრირებული, მაგრამ გარკვეული ხელშემწყობი ფაქტორების გამო შესაძლებელი, საკონვენციო და სხვა საშიში გადამდები დაავადებების ეპიდზედამხედველობა, მათი შემოტანის ან აღმოცენებისა და გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება (ჯანდაცვის სისტემის კომპეტენციის ფარგლებში) ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, დაავადებათა გამოვლენა და გავრცელების შემცირება. ეპიდზედამხედველობისა და სამედიცინო ინფორმაციული სისტემების ეფექტიანი ფუნქციონირება. მართვადი ინფექციებით მოსახლეობის ავადობის შემცირება. პარაზიტულ დაავადებათა პრევენცია, ეპილეფსიის პროფილაქტიკისა და მკურნალობის ღონისძიებათა ჩატარდება. განხორციელდება ადამიანებზე გარემოს ფაქტორებით გამოწვეულია მავნე ზემოქმედებისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის, დაავადებათა პრევენციისა და ეპიდკონტროლის სახელმწიფო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი.

2006-2009 წლებში მოსალოდნელი შედეგები: საზოგადოებაში შენარჩუნდება და გაძლიერდება ცხოვრების ჯანსაღი წესი, შემცირდება სოციალურად საშიში

დაავადებები, გაიზრდება ეპიდზედამხედველობის სამედიცინო ინფორმაციული სისტემების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციული და მმართველობითი ეფექტიანობა;

– აივ/ინფექციის, ტუბერკულოზისა და მალარიის პრევენციისა და კონტროლის ეროვნული პროგრამა ითვალისწინებს აივ-ინფექციის, ტუბერკულოზისა და მალარიის პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებებს.

2006-2009 წლებში მოსალოდნელი შედეგები: შემცირდება აივ-ინფექციის, ტუბერკულოზითა და მალარიით ავადობა;

– ომის ვეტერანთა სამედიცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სამედიცინო მომსახურებას.

2006-2009 წლებში მოსალოდნელი შედეგები: ყოველწლიურად საშუალოდ 7 650 ვეტერანი უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო მომსახურებით.

2. საქართველოს მოსახლეობის სოციალური დაცვა

მიზნები:

- საპენსიო უზრუნველყოფა;
- სოციალური დახმარება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაცია და ადაპტაცია;

ამ მიზნების მისაღწევად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო განახორციელებს შემდეგ პროგრამებს:

– სოციალური დაცვის პროგრამები მოიცავს 2006 წლის საპენსიო ვალდებულებების დაფარვას, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამას, ელექტროენერგიის შეღავათებით მოსარგებლე მოსახლეობის (მათ შორის, ომის მონაწილეები და მათთან გათანაბრებული პირები) მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის კომპენსაციის პროგრამასა და 9 აპრილს დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარებების პროგრამას.

2006 წლის მოსალოდნელი შედეგები: გაუმჯობესდება სოციალურ-ეკონომიკურად ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური პირობები.

– სიღატაკის ზღვარს მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი ოჯახების აღრიცხვა, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება და მონაცემთა რანჟირებული ბაზის ფორმირება.

2006 წელს მოსალოდნელი შედეგები: შეიქმნება სოციალურად დაუცველი ოჯახების აღრიცხვისა და შეფასების ობიექტური სისტემა; შეიქმნება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზა; მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მიზნობრივი პროგრამების ბენეფიციართა ჯგუფების განსასაზღვრად.

– შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციისა და ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინსტიტუციური პატრონაჟი, შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა.

2006 წელს მოსალოდნელი შედეგები: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაცია და მათი თვითრეალიზაციისა და ადაპტაციის ხელშეწყობა, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ინსტიტუციებში მოხვედრის პრევენცია.

– სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის პროგრამა, რომლის მიზანია ადამიანის სამედიცინო და სოციალური სტატუსის დარღვევის ხარისხის განსაზღვრა.

2006 წელს მოსალოდნელი შედეგი: სამედიცინო-სოციალურ ექსპერტიზაზე გასული პირების კომპენსაციურ-ადაპტაციური შესაძლებლობების დადგენა და შენარჩუნება.

დროებით შრომისუუნარობის, ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარება – ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვროს 600 ლარით, ხოლო დროებით შრომისუუნარობის გამო დახმარების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვროს 115 ლარით. აღნიშნული დახმარებები გაიცემა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ.

3. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციური და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა

მიზანი:

– ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემის ინსტიტუციური განვითარება;

ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო განახორციელებს სოციალური სფეროს ინსტიტუციური და ფუნქციური რეფორმის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამას, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: მეცნიერებისა და განათლების კომპონენტსა და სტრატეგიული მნიშვნელობის დაწესებულებათა რეაბილიტაციის, სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარების და სამედიცინო რეზერვების მართვის კომპონენტს.

პროგრამა ითვალისწინებს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული ექიმების, ფარმაცევტებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას მათი მომზადება-გადამზადების გზით; ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებასა და განვითარებას; სტიქიური მოვლენების, კატასტროფების, საგანგებო და განსაკუთრებული მდგომარეობის დროს დაზარალებულთა გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით სამედიცინო აღჭურვილობის აუცილებელი მარაგის ფორმირებას, შენახვასა და მუდმივ შევსება-განახლებას.

2006-2009 წლების მოსალოდნელი შედეგები: უწყვეტი სამედიცინო განათლების მყარი, თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება და სტიქიური მოვლენების, კატასტროფებისა და განსაკუთრებული მდგომარეობის დროს დაზარალებულთა გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

მუხლი 51. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

განისაზღვროს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 229 749.9 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2005 წლის გეგმა	2006 წლის გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ.კრედიტები და გრანტები
36 00	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	287 659,9	229 749,9	179 846,2	49 903,7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	121,0	121,0	121,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	1 265,1	1 027,3	1 027,3	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	253,3	205,4	205,4	0,0
	მივლინებები	101,3	135,0	135,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	333,5	645,2	645,2	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	206 748,8	184 847,4	177 683,3	7 164,1
	კაპიტალური ხარჯები	67,9	150,0	150,0	0,0
	დაკრედიტება	78 890,0	42 739,6	0,0	42 739,6
36 01	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ცენტრალური აპარატი	1 659,0	2 162,9	2 162,9	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	121,0	121,0	121,0	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	1 034,1	1 027,3	1 027,3	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	207,5	205,4	205,4	
	მივლინებები	90,0	135,0	135,0	
	სხვა საქონელი და მომსახურება	272,4	645,2	645,2	
	კაპიტალური ხარჯები	55,0	150,0	150,0	
36 02	საქართველოს ენერგოსისტემის სუბსიდირების ღონისძიებები	195 658,8	176 948,2	176 948,2	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	195 658,8	176 948,2	176 948,2	0,0
36 02 01	ჰიდრო - და თბოელექტროსადგურების რეაბილიტაცია	59 340,3	39 770,0	39 770,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	59 340,3	39 770,0	39 770,0	0,0
36 02 01 01	ჰიდრო - და თბოელექტროსადგურების სარეაბილიტაციო ღონისძიებები	43 940,3	31 270,0	31 270,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	43 940,3	31 270,0	31 270,0	
36 02 01 02	ენგურჰესის ელექტრო - და ჰიდრომექანიკური ნაწილის რეაბილიტაციის თანადაფინანსება	15 400,0	8 500,0	8 500,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	15 400,0	8 500,0	8 500,0	
36 02 02	ბუნებრივი გაზის სექტორში სარეაბილიტაციო ღონისძიებები	2 000,0	3 000,0	3 000,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	2 000,0	3 000,0	3 000,0	

36 02 03	ელექტროენერგიით მომარაგების უზრუნველყოფისა და მოქმედი ტარიფების შენარჩუნების ღონისძიებები	79 079,0	103 250,0	103 250,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	79 079,0	103 250,0	103 250,0	
36 02 04	საგადასახადო პოლიტიკის (დღგ) ცვლილებების გამო გამანაწილებელი კომპანიების ნაწილობრივი კომპენსაციის ღონისძიებები	12 100,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	12 100,0	0,0		
36 02 05	სხვა დანარჩენი ღონისძიებები	6 632,6	9 800,0	9 800,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	6 632,6	9 800,0	9 800,0	0,0
36 02 05 01	ტყიბულის შახტების შენარჩუნების ღონისძიება	1 200,0	1 500,0	1 500,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 200,0	1 500,0	1 500,0	
36 02 05 02	ენერგოსექტორში სამშენებლო დოკუმენტაციის შემუშავების ღონისძიება	100,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	100,0	0,0		
36 02 05 03	ენერგოსისტემის სტრუქტურული რეორგანიზაციის ღონისძიება	500,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	500,0	0,0		
36 02 05 04	ენგურჰესის გენერაციის ტარიფის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) კრედიტის მომსახურების ღონისძიება	4 335,0	8 300,0	8 300,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	4 335,0	8 300,0	8 300,0	
36 02 05 05	2004 წლის სახელშეკრულებო ვალდებულებების საფუძველზე მიმდინარე წელს შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების ღონისძიება	497,6	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	497,6	0,0		
36 02 06	სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების აღრიცხვიანობის მოწესრიგების ღონისძიებები	20 275,6	1 000,0	1 000,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	20 275,6	1 000,0	1 000,0	
36 02 07	საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობისა და მათი იმედიანობის გაზრდის მიზნით სარეაბილიტაციო ღონისძიებები	10 051,5	18 000,0	18 000,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	10 051,5	18 000,0	18 000,0	
36 02 08	„საქრუსენერგოს“ 500-კვ ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონი“ გადაუდებელი სარეაბილიტაციო ღონისძიება	2 000,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	2 000,0	0,0		

36 02 09	ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	3 781,3	2 128,2	2 128,2	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	3 781,3	2 128,2	2 128,2	
36 02 10	სს „დუშეთიგაზის“ მიერ დუშეთის რაიონისათვის მიწოდებული ბუნებრივი გაზის საფასურის ანაზღაურების ღონისძიება	398,5	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	398,5	0,0		
36 03	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობის და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი	362,1	0,0	0,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	231,0	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	45,8	0,0		
	მივლინებები	11,3	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	61,1	0,0		
	კაპიტალური ხარჯები	12,9	0,0		
36 04	უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების ხარჯები	89 980,0	50 638,8	735,1	49 903,7
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	11 090,0	7 899,2	735,1	7 164,1
	დაკრედიტება	78 890,0	42 739,6	0,0	42 739,6
36 04 01	საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტი	32 640,0	25 208,0	0,0	25 208,0
	დაკრედიტება	32 640,0	25 208,0		25 208,0
36 04 02	ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია	14 430,0	0,0	0,0	0,0
	დაკრედიტება	14 430,0	0,0		
36 04 03	ლავჯანურისა და ხრამჰესის რეაბილიტაცია	7 400,0	2 839,9	0,0	2 839,9
	დაკრედიტება	7 400,0	2 839,9		2 839,9
36 04 04	ენერგომატარებლების ტრანზიტის ინსტიტუციონალური აღმშენებლობის პროექტი	4 430,0	3 172,4	735,1	2 437,3
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	4 430,0	3 172,4	735,1	2 437,3
36 04 05	რეგიონალური ელექტროქსელის რეაბილიტაცია I პროექტი (ალავერდი)	13 320,0	7 047,7	0,0	7 047,7
	დაკრედიტება	13 320,0	7 047,7		7 047,7
36 04 06	ენერგოგამანაწილებელი სისტემის რეაბილიტაცია I პროექტი	11 100,0	7 644,0	0,0	7 644,0
	დაკრედიტება	11 100,0	7 644,0		7 644,0
36 04 07	განახლებადი ენერგიები	6 660,0	4 726,8	0,0	4 726,8
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	6 660,0	4 726,8		4 726,8

2006-2009 წლებში სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები:

- ელექტროენერგიის გენერაციის ობიექტებზე არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- ელექტროგადამცემი ხაზებისა და გენერაციის ობიექტების მშენებლობა;
- გაზსადენის ქსელების რეაბილიტაცია;
- ქვეყანაში არსებული ენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება;
- ქვეყნის ეროვნული ეკონომიკისა და მოსახლეობის ენერგეტიკულ რესურსებზე გადახდისუნარიანი მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება.

2006-2009 წლებში სტრატეგიის ძირითადი მიზნები:

- ჰიდრო- და თბოელექტროსადგურების რებილიტაცია;
- ენგურჰესის ელექტრო- და ჰიდრომექანიკური ნაწილის რეაბილიტაციის თანადაფინანსება;
- ბუნებრივი გაზის სექტორის რეაბილიტაცია;
- ელექტროენერგიით უზრუნველყოფა და მოქმედი ტარიფების შენარჩუნება;
- ტყიბულის შახტების შენარჩუნება;
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) კრედიტის მომსახურება;
- სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის აღრიცხვიანობის მოწესრიგება;
- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა და მათი იმედიანობის გაზრდა;
- ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება.

ჰიდრო- და თბოელექტროსადგურების რეაბილიტაცია

ღონისძიებები:

- ვარდნილჰესის, შაორჰესის, გუმათჰესის, ლაჯანურჰესის, ძევრულჰესის, ხრამჰესი-2 და მცირე ჰესების იმედიანობის გაზრდა და რეაბილიტაცია;
- თბილსრესის რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შედეგები:

- რეაბილიტაცია ჩაუტარდება გენერაციის ობიექტებს;
- გაიზრდება ვარდნილჰესის, შაორჰესის, გუმათჰესის, ლაჯანურჰესის, ძევრულჰესის, ხრამჰესი-2 და მცირე ჰესების საიმედოობა;
- გენერაციის ობიექტების სიმძლავრე აღდგენილ იქნება და 2005 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდება დაახლოებით 250 მგვტ-ით;
- ექსპლოატაციაში შევა მცირე ჰესები ჩირუხი-სანალია, სულორჰესი და აწჰესი;
- თბილსრესზე აღდგენილ იქნება დამატებითი სიმძლავრეები;
- აშენდება ახალი გაზოტურბინა და ექსპლოატაციაში შევა ახალი სიმძლავრე 110-150 მგვტ-ის ოდენობით;

- დაიწყება სომხეთთან შემაერთებელი 330 (400) კვტ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა;

- ვარდნილჰესზე, შაორჰესზე, გუმათჰესზე, ძევრულჰესზე და თბილსრესზე მიმდინარე რეაბილიტაციის სამუშაოები გარდამავალი ხასიათისაა და შესაბამისად შესყიდვის ღონისძიებების ჩატარების სპეციფიკური ხასიათის გამო (რაც გამოიხატება იმაში, რომ პროექტების განხორციელება მოითხოვს დამამზადებელ საწარმოებში კონტრაქტის განთავსებას, რომლის ხანგრძლივობა კონსტრუქციების მასშტაბურობისა და ტრანსპორტირების სირთულეების გათვალისწინებით მოითხოვს 8-14 თვეს) კონტრაქტორებთან ხელშეკრულებები ფორმდება მრავალწლიანი შესყიდვების პირობებით.

ენგურჰესის ელექტრო- და ჰიდრომექანიკური ნაწილის რეაბილიტაციის თანადაფინანსება

ღონისძიებები:

- ენგურჰესის ელექტრო და ჰიდრომექანიკური ნაწილის რეაბილიტაციის თანადაფინანსება.

მოსალოდნელი შედეგები:

- შესრულდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ქართული მხარის ვალდებულებები.

-

ბუნებრივი გაზის სექტორის რეაბილიტაცია

ღონისძიებები:

- ს.ს. ,,თბილგაზი‘‘-ს რეაბილიტაციის ნაწილობრივი სუბსიდირება;
- ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში გაზის მეურნეობების რეაბილიტაცია;
- გაზსადენების ქსელის რეაბილიტაცია;
- აღრიცხვისა და გამრიცხველიანობის მოწესრიგება.

მოსალოდნელი შედეგები:

- ქ. თბილისის შეუფერხებელი გაზმომარაგების უზრუნველყოფა და მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის მაქსიმალურად დაკმაყოფილება;
- აღრიცხვის სისტემის გაუმჯობესება, ამორტიზებული გაზსადენების ქსელის რეკონსტრუქცია და ამის შედეგად ტექნიკური დანაკარგების საგრძნობლად შემცირება;
- მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასურის ამოღების მაჩვენებლების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება.

.

ელექტროენერგიით მომარაგების უზრუნველყოფისა და მოქმედი ტარიფების შენარჩუნება

ღონისძიებები:

- მოსახლეობისა და ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ენერგეტიკული რესურსებით მომარაგების უზრუნველყოფა;
- ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფის ოპტიმიზაცია.

მოსალოდნელი შედეგები:

- გაიზრდება თბოსადგურებში გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა;
- რადიკალურად გაუმჯობესდება ელექტროენერგიის საფასურის ამოღება;
- შემცირდება კომერციული დანაკარგები;
- დაბალანსდება ქვეყნის ენერგოდეფიციტი;
- თბოსადგურებში წლიურად გამომუშავდება საშუალოდ 3 მლრდ. კვტ/სთ ელექტროენერგია;
- განხორციელდება ელექტროენერგიის ტარიფის ოპტიმიზაცია.

ტყიბულის შახტების შენარჩუნება

ღონისძიებები:

- ტყიბულის შახტების აღდგენა-გამაგრება;
- ქვანახშირის მოპოვება-წარმოება.

მოსალოდნელი შედეგები:

- გაიზრდება ქვანახშირის მოპოვება 2007 წელს 50.0 ათ. ტონამდე, 2008 წელს 150-200 ათას ტონამდე;
- შახტები მიაღწევს რენტაბელობას;
- გაფართოვდება ქვანახშირის მოპოვებისა და წარმოების შესაძლებლობა;
- გაიცემა მუშა-მოსამსახურეთა და გასამხედროებული სამთო მაშველი ნაწილების მუშაკთა ხელფასები და გადახდილი იქნება სოციალური ანარიცხები;
- შეძენილი იქნება მანქანა–დანადგარები, მოწყობილობები, სამაგრი და საწვავ-საპოხი მასალები;
- ქვანახშირი სათანადო ადგილს დაიკავებს ქვეყნის თბური მოხმარების ბალანსში.

ენგურჰესის გენერაციის ტარიფის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) კრედიტის მომსახურება

ღონისძიებები:

- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტის ძირითადი ნაწილის გადახდა;
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტის პროცენტის დაფარვა.

მოსალოდნელი შედეგები:

- ენგურჰესის საკრედიტო ვალდებულებებისაგან განთავისუფლება;
- ელექტროენერგიის გენერაციის ტარიფის ოპტიმიზაცია.

სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების აღრიცხვიანობის მოწესრიგება

ღონისძიებები:

- ელექტრომრიცხველების შეძენა-მონტაჟი.

მოსალოდნელი შედეგები:

- გამრიცხველიანების დონე სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებში მიაღწევს საშუალოდ 60%-ს;
- ელექტროენერგიის ამოღების მაჩვენებლები გაიზრდება 70%-მდე;
- მნიშვნელოვნად შემცირდება ელექტროენერგიის კომერციული დანაკარგები;
- საგრძნობლად გამოსწორდება გადამხდელი მომხმარებლებისათვის ელექტრო-ენერგიის მიწოდებაში არსებული შეფერხებები.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობისა და მათი იმედიანობის გაზრდის მიზნით რეაბილიტაცია

ღონისძიებები:

- მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაცია, გადაიარაღება და რემონტი;
- ახალი კომუნიკაციების მშენებლობა. მათ შორის სომხეთის ელექტროსისტემასთან შემაერთებელი 330 (400) კვტ. და „ზესტაფონი-ახალციხე“ 500 კვტ. ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- შეკეთდება საკვანძო ქვესადგურები;
- მინიმუმამდე შემცირდება სისტემური ავარიები;
- შემცირდება ტექნიკური დანაკარგების საერთო დონე;
- გაიზრდება ელექტროსისტემის ფუნქციონირების საიმედოობა;
- განხორციელდება მეზობელ ქვეყნებთან ენერგოსისტემის პარალელურ რეჟიმში ფუნქციონირებისათვის და ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტის დაბალანსებისათვის ხელშეწყობა.

ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება

ღონისძიებები:

- ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება.

მოსალოდნელი შედეგები:

- გაუმჯობესდება მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა;
- ყაზბეგის რაიონში 2518 ოჯახს მომქმედი სამომხმარებლო ტარიფის შესაბამისად აუნაზღაურდება ყოველწლიურად ზამთრის სეზონზე ყოველთვიურად უფასოდ მისაწოდებელი 750 $მ^3$ ბუნებრივი აირის ღირებულება.

2006-2009 წლებში განსახორციელებელი ღონისძიებების საბოლოო შედეგები:

- ენერგეტიკულ სექტორში ეკონომიკური, ტექნიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ენერგოსექტორის განვითარება და ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში მისი ხვედრითი წილის ყოველწლიურად სტაბილური ზრდა;
- თვითანაზღაურებადი და თვითფინანსირებადი ენერგოსისტემის ჩამოყალიბება;
- ტექნიკური და კომერციული დანაკარგების რადიკალურად შემცირება. ენერგო-სექტორში დებიტორ-კრედიტორული დავალიანებებისა და ვალების პრობლემების მოწესრიგება;
- ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფა;
- ენერგეტიკულ სექტორში ლიცენზიებისა და ნებართვების ოპტიმიზაცია და მათი გაცემის პროცედურების სრულყოფა და გამარტივება;
- ენერგეტიკული სექტორის ეტაპობრივი ლიბერალიზაციის პროცესის დაწყება;
- სატარიფო პოლიტიკის ოპტიმიზაცია;
- ენერგოსექტორში პრივატიზაციის პროცესის რაციონალურად წარმართვა, ელექტროენერგიის წარმოებისა და ინვესტიციების მოცულობის მნიშვნელოვნად გადიდების გათვალისწინებით;
- ქვეყანაში არსებული ენერგეტიკული პოტენციალის სრულად გამოყენება და იმპორტირებულ სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე დამოკიდებულების მინიმუმამდე შემცირება; იმპორტ-ექსპორტის რაციონალური დაბალანსება;
- ენერგიის განახლებადი წყაროების ათვისების და მათი დანერგვის მაქსიმალური ხელშეწყობა; ენერგოეფექტიანობის პროგრამების შემუშავება და მათი დანერგვა;
- მეზობელ ქვეყნებთან ენერგეტიკულ სექტორში ორმხრივი და რეგიონალური თანამშრომლობის გაღრმავება.

მუხლი 52. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

განისაზღვროს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების 60 451.2 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2005 წლის გეგმა	2006 წლის გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ.კრედიტები და გრანტები
37 00	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	51 636,0	60 451,2	28 609,4	31 841,8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	2 309,0	1 120,0	1 120,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	7 628,6	5 777,0	5 777,0	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	1 525,6	1 155,4	1 155,4	0,0
	მივლინებები	178,0	460,0	460,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	11 685,4	11 961,1	11 961,1	0,0

	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	29 635,7	37 483,7	5 641,9	31 841,8
	კაპიტალური ხარჯები	982,7	3 614,0	3 614,0	0,0
37 01	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემა	7 293,8	8 668,7	8 668,7	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	550,0	230,0	230,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	2 273,5	2 368,0	2 368,0	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	454,7	473,6	473,6	0,0
	მივლინებები	100,0	170,0	170,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	3 804,4	2 704,1	2 704,1	0,0
	კაპიტალური ხარჯები	661,2	2 953,0	2 953,0	0,0
37 01 01	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი	2 946,1	3 750,1	3 750,1	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	221,0	200,0	200,0	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	1 479,4	1 440,0	1 440,0	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	295,9	288,0	288,0	
	მივლინებები	50,0	150,0	150,0	
	სხვა საქონელი და მომსახურება	504,3	872,1	872,1	
	კაპიტალური ხარჯები	616,5	1 000,0	1 000,0	
37 01 02	დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის რეგიონალური სამმართველოები	1 232,7	543,6	543,6	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	329,0	30,0	30,0	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	774,1	128,0	128,0	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	154,8	25,6	25,6	
	მივლინებები	50,0	20,0	20,0	
	სხვა საქონელი და მომსახურება	229,1	217,0	217,0	
	კაპიტალური ხარჯები	24,7	153,0	153,0	
37 01 03	პროგრამა „ჩაი“	3 000,0	1 000,0	1 000,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	3 000,0	1 000,0	1 000,0	
37 01 04	პროგრამა „ზოგიერთი სასურსათო პროდუქციის ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება“	0,0	400,0	400,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	0,0	400,0	400,0	
37 01 05	პროგრამა „ფერმერთა და აგრომეწარმეთა საინფორმაციო და საკონსულტაციო უზრუნველყოფა“	0,0	115,0	115,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	0,0	115,0	115,0	
37 01 06	პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებით უზრუნველყოფა“	0,0	1 800,0	1 800,0	0,0
	კაპიტალური ხარჯები	0,0	1 800,0	1 800,0	
37 01 07	მეცხოველეობის სანაშენე საქმის განვითარება	0,0	100,0	100,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	0,0	100,0	100,0	

37 01 08	სამინისტროს სისტემის რეფორმის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები (საკომპენსაციო თანხა)	0,0	960,0	960,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	0,0	800,0	800,0	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	0,0	160,0	160,0	
37 01 09	პროგრამა „ნიადაგების ეროზიისაგან დაცვა“	15,0	0,0	0,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	15,0	0,0		
37 01 10	მინერალური წყლების ადგილწარმოშობის ზონებისა და საზღვრების დადგენა	100,0	0,0	0,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	20,0	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	4,0	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	56,0	0,0		
	კაპიტალური ხარჯები	20,0	0,0		
37 02	სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი	4 873,3	4 771,0	4 771,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	855,0	500,0	500,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	1 785,3	1 225,0	1 225,0	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	357,1	245,0	245,0	0,0
	მივლინებები	42,0	60,0	60,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	2 588,9	3 185,0	3 185,0	0,0
	კაპიტალური ხარჯები	100,0	56,0	56,0	0,0
37 02 01	სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის აპარატი	509,2	497,6	497,6	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	70,0	50,0	50,0	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	306,0	298,0	298,0	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	61,2	59,6	59,6	
	მივლინებები	22,0	30,0	30,0	
	სხვა საქონელი და მომსახურება	100,0	90,0	90,0	
	კაპიტალური ხარჯები	20,0	20,0	20,0	
37 02 02	სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის დაქვემდებარებული სამსახურები	1 915,2	1 273,4	1 273,4	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	785,0	450,0	450,0	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	1 479,3	927,0	927,0	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	295,9	185,4	185,4	
	მივლინებები	20,0	30,0	30,0	
	სხვა საქონელი და მომსახურება	100,0	95,0	95,0	
	კაპიტალური ხარჯები	20,0	36,0	36,0	
37 02 03	პროგრამა „მიწების მელიორაციის განვითარება სურსათით უზრუნველყოფისათვის“	2 448,9	3 000,0	3 000,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	2 388,9	3 000,0	3 000,0	
	კაპიტალური ხარჯები	60,0	0,0		

37 03	სურსათით უვნებლობის ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური	3 974,0	9 300,8	9 300,8	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0,0	390,0	390,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	0,0	2 184,0	2 184,0	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	0,0	436,8	436,8	0,0
	მივლინებები	0,0	230,0	230,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	3 935,0	5 845,0	5 845,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	39,0	0,0	0,0	0,0
	კაპიტალური ხარჯები	0,0	605,0	605,0	0,0
37 03 01	სურსათით უვნებლობის ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურის აპარატი	0,0	4 120,8	4 120,8	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0,0	390,0	390,0	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	0,0	2 184,0	2 184,0	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	0,0	436,8	436,8	
	მივლინებები	0,0	150,0	150,0	
	სხვა საქონელი და მომსახურება	0,0	775,0	775,0	
	კაპიტალური ხარჯები	0,0	575,0	575,0	
37 03 02	პროგრამა ,,სასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული კვლევა“	0,0	580,0	580,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	0,0	580,0	580,0	
37 03 03	პროგრამა ,,ეპიზოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებები“	3 200,0	4 100,0	4 100,0	0,0
	მივლინებები	0,0	80,0	80,0	
	სხვა საქონელი და მომსახურება	3 200,0	3 990,0	3 990,0	
	კაპიტალური ხარჯები	0,0	30,0	30,0	
37 03 04	პროგრამა ,,მცენარეთა დაცვა“	774,0	500,0	500,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	735,0	500,0	500,0	
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	39,0	0,0		
37 04	საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი ,,სამტრესტი“	201,3	747,0	747,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	0,0	227,0	227,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	201,3	520,0	520,0	0,0
37 04 01	ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი ,,სამტრესტის“ აპარატი	201,3	520,0	520,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	201,3	520,0	520,0	
37 04 02	პროგრამა ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების წარმოებისათვის საჭირო სანედლეულო ბაზის გეოგრაფიული არეალის განსაზღვრა-დადგენა და ამ ზონებში არსებული ნარგაობის ინვენტარიზაცია და პასპოტიზაცია	0,0	227,0	227,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	0,0	227,0	227,0	

37 05	თევზის მეურნეობის დეპარტამენტი „საქთევზი“	186,7	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	20,0	0,0	0,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	100,4	0,0	0,0	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	20,0	0,0	0,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	64,3	0,0	0,0	0,0
	კაპიტალური ხარჯები	2,0	0,0	0,0	0,0
37 05 01	თევზის მეურნეობის დეპარტამენტის „საქთევზი“ აპარატი	111,7	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	20,0	0,0		
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	87,9	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	17,5	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	4,3	0,0		
	კაპიტალური ხარჯები	2,0	0,0		
37 05 02	პროგრამა „საქართველოს შიდა წყლებში გადაშენების ზღვარზე მყოფი ძვირფასი სახეობის თევზების აღწარმოება და რეაბილიტაცია“	75,0	0,0	0,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	12,5	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	2,5	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	60,0	0,0		
37 06	წყლის, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების სახელმწიფო რეგულირების დეპარტამენტი „საქმინხილწყალი“	130,4	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	19,0	0,0		
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	100,1	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	20,0	0,0		
	მივლინებები	0,3	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	8,0	0,0		
	კაპიტალური ხარჯები	2,0	0,0		
37 07	მელიორაციის ინსპექცია	22,0	0,0	0,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	17,3	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	3,5	0,0		
	მივლინებები	0,2	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	1,0	0,0		
37 08	კვების პროდუქტების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახური	484,4	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	143,0	0,0	0,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	360,8	0,0	0,0	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	72,1	0,0	0,0	0,0
	მივლინებები	0,5	0,0	0,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	49,0	0,0	0,0	0,0
	კაპიტალური ხარჯები	2,0	0,0	0,0	0,0
37 08 01	კვების პროდუქტების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახურის აპარატი	484,4	0,0	0,0	0,0

	მომუშავეთა რიცხოვნობა	143,0	0,0		
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	360,8	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	72,1	0,0		
	მივლინებები	0,5	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	49,0	0,0		
	კაპიტალური ხარჯები	2,0	0,0		
37 09	აგროსაინჟინრო სამსახური	308,1	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	38,0	0,0		
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	187,6	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	37,5	0,0		
	მივლინებები	15,0	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	52,0	0,0		
	კაპიტალური ხარჯები	16,0	0,0		
37 10	სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ფქვილის ხარისხის ინსპექცია	303,7	0,0	0,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	235,6	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	47,1	0,0		
	მივლინებები	3,0	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	16,0	0,0		
	კაპიტალური ხარჯები	2,0	0,0		
37 11	მცენარეთა დაცვის სამსახური	1 260,7	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	238,0	0,0		
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	862,2	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	172,5	0,0		
	მივლინებები	8,0	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	179,0	0,0		
	კაპიტალური ხარჯები	39,0	0,0		
37 12	მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტი	662,9	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	92,0	0,0	0,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	366,6	0,0	0,0	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	73,3	0,0	0,0	0,0
	მივლინებები	3,0	0,0	0,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	171,0	0,0	0,0	0,0
	კაპიტალური ხარჯები	49,0	0,0	0,0	0,0
37 12 01	მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტის აპარატი	162,7	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	26,0	0,0		
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	125,6	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	25,1	0,0		
	მივლინებები	2,0	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	8,0	0,0		
	კაპიტალური ხარჯები	2,0	0,0		

37 12 02	მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტის დაქვემდებარებული სამსახურები	300,2	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	66,0	0,0		
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	241,0	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	48,2	0,0		
	მივლინებები	1,0	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	10,0	0,0		
37 12 03	პროგრამა ,,სანაშენე მეცხოველეობის, მეფრინველეობისა და მეფუტკრეობის აღორძინება“	200,0	0,0	0,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	153,0	0,0		
	კაპიტალური ხარჯები	47,0	0,0		
37 13	აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახური	549,3	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	118,0	0,0	0,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	391,1	0,0	0,0	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	78,2	0,0	0,0	0,0
	მივლინებები	2,0	0,0	0,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	55,5	0,0	0,0	0,0
	კაპიტალური ხარჯები	22,5	0,0	0,0	0,0
37 13 01	აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახურის აპარატი	58,6	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	8,0	0,0		
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	41,7	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	8,4	0,0		
	მივლინებები	1,0	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	7,5	0,0		
37 13 02	აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახურის დაქვემდებარებული სამსახურები	435,7	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	110,0	0,0		
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	349,4	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	69,8	0,0		
	მივლინებები	1,0	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	15,5	0,0		
37 13 03	პროგრამა ,,ნიადაგების გაუმჯობესების აგროქიმიური ღონისძიებები“	55,0	0,0	0,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	32,5	0,0		
	კაპიტალური ხარჯები	22,5	0,0		
37 14	თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის ინსპექცია	773,1	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	155,0	0,0	0,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	577,6	0,0	0,0	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	115,5	0,0	0,0	0,0
	მივლინებები	3,0	0,0	0,0	0,0

	სხვა საქონელი და მომსახურება	57,0	0,0	0,0	0,0
	კაპიტალური ხარჯები	20,0	0,0	0,0	0,0
37 14 01	თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის ინსპექციის აპარატი	182,8	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	23,0	0,0		
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	104,0	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	20,8	0,0		
	მივლინებები	1,0	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	37,0	0,0		
	კაპიტალური ხარჯები	20,0	0,0		
37 14 02	თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის ინსპექციის დაქვემდებარებული სამსახურები	590,3	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	132,0	0,0		
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	473,6	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	94,7	0,0		
	მივლინებები	2,0	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	20,0	0,0		
37 15	სელექციური მიღწევების, გამოცდის ინსპექცია	464,7	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	55,0	0,0	0,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	255,2	0,0	0,0	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	51,0	0,0	0,0	0,0
	მივლინებები	1,0	0,0	0,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	90,5	0,0	0,0	0,0
	კაპიტალური ხარჯები	67,0	0,0	0,0	0,0
37 15 01	სელექციური მიღწევების, გამოცდის ინსპექციის აპარატი	364,7	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	55,0	0,0		
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	255,2	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	51,0	0,0		
	მივლინებები	1,0	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	40,5	0,0		
	კაპიტალური ხარჯები	17,0	0,0		
37 15 02	პროგრამა ,,სასოფლო-სამეურნეო კულტურების სელექციური მიღწევების გამოცდისა და დაცვის გაუმჯობესება“	100,0	0,0	0,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	50,0	0,0		
	კაპიტალური ხარჯები	50,0	0,0		
37 16	ზამთრის საძოვრების და პირუტყვის გადასარეკი ტრასების რაზმი	60,9	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	12,0	0,0		
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	45,9	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	9,2	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	5,8	0,0		

37 17	მეაბრეშუმეობის საკოორდინაციო ცენტრი „აბრეშუმის სახლი"	91,3	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	14,0	0,0		
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	69,4	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	13,9	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	8,0	0,0		
37 18	პროგრამა „ერთწლიანი კულტურების (ხორბლის, ქერის, სიმინდის და ბოსტნეულის) მეთესლეობის აღდგენის ხელშემწყობი ღონისძიებები	600,0	0,0	0,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	600,0	0,0		
37 19	ვეტერინარიის დეპარტამენტი	1 924,4	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 924,4	0,0		
37 20	უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების ხარჯები	27 471,0	36 963,7	5 121,9	31 841,8
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	27 471,0	36 963,7	5 121,9	31 841,8
37 20 01	სოფლის განვითარების პროექტი	0,0	11 037,2	1 180,1	9 857,1
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	11 037,2	1 180,1	9 857,1
37 20 02	ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტი	14 845,9	16 599,2	2 507,6	14 091,6
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	14 845,9	16 599,2	2 507,6	14 091,6
37 20 03	სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი	1 507,7	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 507,7	0,0		
37 20 04	სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა კონსულტირების და სწავლების პროექტი	5 282,3	5 543,7	957,3	4 586,4
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	5 282,3	5 543,7	957,3	4 586,4
37 20 05	მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამა	5 556,0	3 783,6	476,9	3 306,7
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	5 556,0	3 783,6	476,9	3 306,7
37 20 06	სოფლის მეურნეობის განვითარების მოსამზადებელი პროექტი	279,2	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	279,2	0,0		

ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები 2006-2009 წლებში:

1. სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა.
2. სასურსათო უზრუნველყოფა.

3. მევენახეობა - მეღვინეობის განვითარება.
4. ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა.
5. მელიორაცია და ირიგაცია.
6. ფერმერთა და აგრომეწარმეთა საინფორმაციო და საკონსულტაციო უზრუნველყოფა.

2006 წლისათვის სამინისტროს ცალკეული სტრატეგიული მიმართულებების ძირითადი მიზნები:

1. სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა:
- მომხმარებელთა ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვა სურსათის უვნებლობის უზუნველყოფის გზით;
- სურსათის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება;
- სურსათისა და ცხოველთა საკვების უვნებლობის უზრუნველყოფის მიზნით წარმოებისა და დისტრიბუციის მთლიან ჯაჭვზე ერთიანი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება.

2. სასურსათო უზრუნველყოფა:
- ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია;
- სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების განახლების ხელშეწყობა;
- სანაშენე საქმის განვითარება.

3. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება:
- ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების წარმოებისათვის საჭირო სანედლეულო ბაზის გეოგრაფიული არეალის განსაზღვრა-დადგენა და ამ ზონებში არსებული ნარგაობის ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია.

4. ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა:
- ცხოველთა პროფილაქტიკური ვაქცინაციის, სადიაგნოსტიკო გამოკვლევების, საკარანტინო აღმკვეთი ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვა მავნებლებისაგან, სარეველებისაგან, მოსავლის შენარჩუნება და ზრდა.

5. მელიორაცია და ირიგაცია
- მიწის მელიორაციის განვითარება სურსათით უზრუნველყოფისათვის.

6. ფერმერთა და აგრომეწარმეთა საინფორმაციო და საკონსულტაციო უზრუნველყოფა
- აგროსაინფორმაციო პოლიტიკის შემუშავება და გავრცელება;
- ურთიერთთანამშრომლობა მეცნიერებასა და აგროსექტორს შორის.

2006 წელს განსახორციელებელი ღონისძიებებისა და პროგრამების აღწერა:

1. პროგრამა: ,,ზოგიერთი სასურსათო პროდუქციის ტექნიკური რეგლამენტების

შემუშავება“.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ და „სტანდარტიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნათა შესაბამისად, ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება იმ სასურსათო პროდუქციისათვის, რომელთა წარმოებაზე გაუქმდა სანებართვო და ლიცენზირების რეჟიმები, ასევე მომეტებული საფრთხის შემცველი პროდუქციისათვის, რათა დაცულ იქნეს მომხმარებელთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ამასთან, შეიქმნას სავალდებულო სტანდარტიზაციის სისტემიდან ნებაყოფლობით სისტემაზე გადასვლის მოქნილი მექანიზმი და გათვალისწინებული იქნეს ადგილობრივი მომხმარებლისა და საორიენტაციო საექსპორტო ბაზრების მოთხოვნები.

მოსალოდნელი შედეგი:

- მომხმარებელთა ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვა სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის გზით;
- ბაზარზე მხოლოდ ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების დაცვით წარმოებული და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელი პროდუქციის განთავსება;
- სურსათის უვნებლობის ახალი მიდგომების და პრინციპების დამკვიდრება;
- წარმოებაში მიკვლევისა და კრიტიკული წერტილების კონტროლის თანამედროვე სისტემების დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს მომხმარებელთა ინტერესების დაცვას და კონკურენტუნარიანს გახდის ადგილობრივ წარმოებას.

2. პროგრამა: „სასურსათო პროდუქციის ლაბორატორიული კვლევა“

პროგრამისათვის გათვალისწინებული თანხები მოხმარდება აკრედიტებულ ლაბორატორიებში სურსათის ლაბორატორიული ანალიზის ხარჯების ანაზღაურებას.

მოსალოდნელი შედეგი:

ფალსიფიცირებული და მავნებელი სასურსათო პროდუქციის დამზადების მინიმუმამდე დაყვანა, სავაჭრო ქსელიდან მისი ამოღება და განადგურება, უსაფრთხო/უვნებელი სურსათის წარმოებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა.

3. პროგრამა: „ჩაი“

პროგრამით გათვალისწინებული თანხები მოხმარდება ჩაის პლანტაციების აღდგენა-რეაბილიტაციას, ჩაის ნედლეულისა და მზა პროდუქციის წარმოების ხელშეწყობას. ამ ღონისძიებების უზრუნველყოფისათვის სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება განხორციელდება თანადაფინანსების პრინციპით ჩაის სექტორში დასაქმებული პირების წილობრივი მონაწილეობით.

მოსალოდნელი შედეგი:

გატარებული ღონისძიებების შედეგად წარმოებული პროდუქციის ძირითადი ნაწილი იქნება საექსპორტო, რაც გააუმჯობესებს ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის ბალანსს, მეჩაიეობა გახდება სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი საშუალება.

4. პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა: „სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების განახლების ხელშეწყობა“

პროგრამით გათვალისწინებული თანხები მოხმარდება საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების პარკის განახლებას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მწარმოებლობის გაზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობას.

მოსალოდნელი შედეგი:

გატარებული ღონისძიებების შედეგად განახლდება ქვეყანაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების პარკი, გაიზრდება მისი მწარმოებლობა და შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

5. პროგრამა: „მეცხოველეობის სანაშენე საქმის განვითარება“

პროგრამით გათვალისწინებული თანხები მოხმარდება სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯიშობრივ გაუმჯობესებას, მათი პროდუქტიულობის ამაღლებას, ენდემური და აბორიგენული ჯიშების გენოფონდის გადარჩენას და მიზანმიმართულ მოშენებას, სანაშენე-სასელექციო აღრიცხვიანობის მოწესრიგებას და სანაშენე ცხოველთა მონაცემთა ბაზის შექმნას.

მოსალოდნელი შედეგი:

– სასელექციო მომსახურების შედეგად მიღებული გაუმჯობესებული ჯიშების, ასევე მათი პროდუქტიულობის მაჩვენებლების გაზრდა;

– ხელოვნური დათესვლის მეთოდების დანერგვა, რაც დააჩქარებს პირუტყვის პროდუქტიულობის დინამიკურ ზრდას, შეზღუდავს ინფექციური დაავადებების გავრცელებას და მინიმუმამდე დაიყვანს ბერწიანობას და უნაყოფობას.

6. პროგრამა: „ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების წარმოებისათვის საჭირო სანედლეულო ბაზის გეოგრაფიული არეალის განსაზღვრა–დადგენა და ამ ზონებში არსებული ნარგაობის ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია“

პროგრამით გათვალისწინებული თანხით თვრამეტ მიკროზონაში განისაზღვრება და დადგინდება სანედლეულო ბაზის გეოგრაფიული გავრცელების არეალი, ამ არეალში განხორციელდება არსებული ვაზის ნარგაობის ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია.

მოსალოდნელი შედეგი:

- 2007 წლის დასაწყისისათვის დადგენილი იქნება თვრამეტი მიკროზონის ზუსტი საზღვრები, რაც საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ სავაჭრო ნიშნების გაყალბება;

- შვიდ მიკროზონაში ჩატარებული ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია წარმოების საწყის ეტაპზე დაიცავს ამ ზონებში დამზადებულ პროდუქციას ფალსიფიკაციისა და მიმსგავსებისაგან. წარმოებული პროდუქცია იქნება მაღალხარისხოვანი და მაღალკონკურენტუნარიანი.

7. პროგრამა: „ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებები“

პროგრამით გათვალისწინებული თანხები მოხმარდება:

- თურქულის, ჯილეხის, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩასატარებლად პრეპარატების შეძენას;

- ჯილეხის, ბრუცელოზის, ცოფის, ტუბერკულოზის დიაგნოსტიკუმების შეძენას;

- ვაქცინაციის ჩატარებას;
- საერთაშორისო ეპიზოოტიური ბიუროს საწევროს;
- სადეზინფექციო საშუალებების შეძენას.

მოსალოდნელი შედეგები:

სრულყოფილი ვეტღონისძიებების გატარება დაავადებების ლიკვიდაციის საიმედო გარანტია გახდება, რის შედეგადაც შემცირდება ცხოველთა და შედეგად კი, ადამიანთა დაავადების რისკი, გაიზრდება მწარმოებლობა, მოიხსნება შეზღუდვები საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობაში.

8. პროგრამა: ,,მცენარეთა დაცვა‘‘

პროგრამით გათვალისწინებული თანხები მოხმარდება სარეზერვო ფონდის შექმნას, მავნებლებისა და სარეველების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებას და პროგნოზირების სისტემის შექმნას.

მოსალოდნელი შედეგი:

გატარებული ღონისძიებების შედეგად შენარჩუნდება მოსავალი, რაც სასოფლო სამეურნეო წარმოების, შესაბამისად ფერმერთა შემოსავლების სტაბილურობის და სოფლად სიღარიბის დაძლევის გარანტიაა.

9. პროგრამა: ,,მიწების მელიორაციის განვითარება სურსათით უზრუნველყოფისათვის‘‘

პროგრამით გათვალისწინებული თანხები მოხმარდება მაგისტრალურ არხებზე წმენდით სამუშაოებს, თვითდინებითი და მექანიკური სარწყავი და დრენაჟის სისტემების მოვლა-პატრონობის ღონისძიებებს. ამ მიზნით სატუმბი სადგურების ფუნქციონირების უზრუნველყოფას, საძოვრების გაწყლოვანების სისტემების მოვლა-პატრონობას, წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას და საირიგაციო დანიშნულების წყალსაცავების მოვლა-პატრონობას.

მოსალოდნელი შედეგი:

- შეჩერდება მელიორირებული, სარწყავი და დაშრობითი ფართობების კლების ტენდენცია;
- უზრუნველყოფილი იქნება სარწყავი და სადრენაჟო სისტემების ფუნქციონირება;
- ჩატარდება გადაუდებელი სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები.

10. პროგრამა: ,,ფერმერთა და აგრომეწარმეთა საინფორმაციო და საკონსულტაციო უზრუნველყოფა‘‘

პროგრამით გათვალისწინებული თანხები მოხმარდება აგროსაინფორმაციო უზრუნველყოფას, ურთიერთთანამშრომლობას მეცნიერებასა და აგროსექტორს შორის, დარგობრივი მეთოდური მითითებებისა და ბროშურების გამოცემა-გავრცელებას.

მოსალოდნელი შედეგი:

- ფერმერთა/გლეხთა უზრუნველყოფა სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის აუცილებელი ინფორმაციით: რეკომენდაციებით, მეთოდური მითითებებით და სხვა;

- ფერმერთა და აგრომეწარმეთა თანამედროვე საინფორმაციო-საკონსულტაციო სისტემის დანერგვა, მათი დროული და ეფექტიანი ინფორმირება და კონსულტირება.

მუხლი 53. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

განისაზღვროს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 34 184.7 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2005 წლის გეგმა	2006 წლის გეგმა	მ.შ. სახელმწიფო სახსრები	მ.შ.კრედიტები და გრანტები
38 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	34 329,6	34 184,7	20 187,0	13 997,7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	2 937,0	2 482,0	2 482,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	7 759,4	8 912,8	8 912,8	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	1 552,4	1 783,2	1 783,2	0,0
	მივლინებები	161,3	365,0	365,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	973,6	1 201,4	1 201,4	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	23 750,8	20 736,3	6 738,6	13 997,7
	კაპიტალური ხარჯები	132,1	1 186,0	1 186,0	0,0
38 01	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს აპარატი	1 549,1	3 185,9	3 185,9	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	177,0	194,0	194,0	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	1 146,8	1 514,7	1 514,7	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	229,3	303,3	303,3	
	მივლინებები	23,0	100,0	100,0	
	სხვა საქონელი და მომსახურება	130,0	595,9	595,9	
	კაპიტალური ხარჯები	20,0	672,0	672,0	
38 02	გარემოს დაცვის ლაბორატორია	24,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	24,0	0,0		
38 03	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები	564,8	717,3	717,3	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	105,0	105,0	105,0	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	431,8	464,4	464,4	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	87,0	92,9	92,9	
	მივლინებები	13,0	60,0	60,0	
	სხვა საქონელი და მომსახურება	33,0	50,0	50,0	

	კაპიტალური ხარჯები	0,0	50,0	50,0	
38 04	იშვიათი და გადაშენების პირას მყოფ თევზის სახეობათა აღწარმოების ცენტრი	86,6	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	86,6	0,0	0,0	0,0
38 04 01	იშვიათი და გადაშენების პირას მყოფ თევზის სახეობათა აღწარმოების ცენტრის აპარატი	6,6	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	6,6	0,0	0,0	
38 04 02	შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლში გავრცელებულ ზუთხისებრთა კონსერვაციის პროგრამა	80,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	80,0	0,0		
38 05	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პროგრამები	191,0	360,0	360,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	85,0	116,6	116,6	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	17,0	23,4	23,4	0,0
	მივლინებები	35,9	0,0	0,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	44,1	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	220,0	220,0	0,0
	კაპიტალური ხარჯები	9,0	0,0	0,0	0,0
38 05 01	„საქართველოს მოსახლეობის რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა“	40,0	40,0	40,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	14,0	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	2,8	0,0		
	მივლინებები	9,0	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	8,2	0,0		
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	40,0	40,0	
	კაპიტალური ხარჯები	6,0	0,0		
38 05 02	„მაღალი ეკოლოგიური რისკის მქონე ობიექტების მშენებლობისა და ოპერირების პერიოდში გარემოსდაცვითი მონიტორინგი“	0,0	80,0	80,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	80,0	80,0	
38 05 03	ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებები	0,0	100,0	100,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	100,0	100,0	
38 05 04	სამინისტროს სისტემის რეფორმის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები (საკომპენსაციო თანხა)	0,0	140,0	140,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	0,0	116,6	116,6	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	0,0	23,4	23,4	
38 05 05	„კლიმატის ცვლილება“	6,0	0,0	0,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	5,0	0,0		

	დამქირავებლიდან ანარიცხები	1,0	0,0		
38 05 06	ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიის მილსადენის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებისა და მათზე გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებით განსაზღვრული მონიტორინგის განხორციელება	45,0	0,0	0,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	20,0	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	4,0	0,0		
	მივლინებები	6,9	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	11,1	0,0		
	კაპიტალური ხარჯები	3,0	0,0		
38 05 07	ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის შესაქმნელად მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბება საქართველოს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენებისათვის	100,0	0,0	0,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	46,0	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	9,2	0,0		
	მივლინებები	20,0	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	24,8	0,0		
38 06	გარემოს დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	47,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	47,0	0,0		
38 07	შავი ზღვის ეკოლოგიისა და თევზის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	40,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	40,0	0,0		
38 08	გეოლოგიის დეპარტამენტი	636,9	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	42,0	0,0	0,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	198,0	0,0	0,0	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	39,5	0,0	0,0	0,0
	მივლინებები	8,0	0,0	0,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	219,7	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	169,3	0,0	0,0	0,0
	კაპიტალური ხარჯები	2,4	0,0	0,0	0,0
38 08 01	გეოლოგიის დეპარტამენტის აპარატი	252,6	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	42,0	0,0		
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	164,9	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	32,9	0,0		
	მივლინებები	5,0	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	47,4	0,0		
	კაპიტალური ხარჯები	2,4	0,0		

38 08 02	გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოები	215,0	0,0	0,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	33,1	0,0	0,0	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	6,6	0,0	0,0	0,0
	მივლინებები	3,0	0,0	0,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	172,3	0,0	0,0	0,0
38 08 02 01	პროგრამა „საქართველოს მიწისქვეშა წყლების რესურსების განვითარება და მართვა, მიწისქვეშა წყლების რესურსების გამოვლენა-შესწავლა და ქვეყნის ტერიტორიის გეოეკოლოგიური მონიტორინგი“	70,0	0,0	0,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	70,0	0,0		
38 08 02 02	პროგრამა „საქართველოს ტერიტორიის რეგიონალური გეოლოგიური შესწავლა, გეოლოგიური პროფილის სახელმწიფო რუკების კომპლექტების შედგენა-გამოცემა, მინერალურ-რესურსული ფონდის სახელმწიფო კადასტრის ფორმირება და მისი მონიტორინგი, გეოდინამიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა“	100,0	0,0	0,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	100,0	0,0		
38 08 02 03	პროგრამა „საქართველოს წიაღის ობიექტების მომზადება ლიცენზირებისათვის და კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზის შექმნა წიაღით რაციონალური სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით“	45,0	0,0	0,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	33,1	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	6,6	0,0		
	მივლინებები	3,0	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	2,3	0,0		
38 08 03	სეისმოჰიდროგეოდეფორმაციული კვლევის ცენტრი	49,3	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	49,3	0,0	0,0	0,0
38 08 03 01	სეისმოჰიდროგეოდეფორმაციული კვლევის ცენტრის აპარატი	45,3	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	45,3	0,0		
38 08 03 02	პროგრამა „საქართველოს ტერიტორიის სეისმური საშიშროების შეფასება ჰიდროგეოდეფორმაციული ველის მონიტორინგით“	4,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	4,0	0,0		
38 08 04	კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი	120,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	120,0	0,0		
38 09	დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი	1 099,5	1 289,2	1 289,2	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	18,0	189,0	189,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	78,5	519,2	519,2	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	15,7	103,9	103,9	0,0

	მივლინებები	4,0	20,0	20,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	8,0	25,0	25,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	993,3	616,1	616,1	0,0
	კაპიტალური ხარჯები	0,0	5,0	5,0	0,0
38 09 01	დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის აპარატი	106,2	155,7	155,7	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	18,0	15,0	15,0	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	78,5	108,9	108,9	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	15,7	21,8	21,8	
	მივლინებები	4,0	10,0	10,0	
	სხვა საქონელი და მომსახურება	8,0	10,0	10,0	
	კაპიტალური ხარჯები	0,0	5,0	5,0	
38 09 02	დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის დაქვემდებარებული ორგანიზაციები	948,3	566,1	566,1	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	948,3	566,1	566,1	0,0
38 09 02 01	ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი და ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი	198,5	214,3	214,3	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	198,5	214,3	214,3	
38 09 02 02	კოლხეთის ეროვნული პარკი	125,8	125,8	125,8	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	125,8	125,8	125,8	
38 09 02 03	ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი და აღკვეთილი	24,0	28,0	28,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	24,0	28,0	28,0	
38 09 02 04	დანარჩენი ეროვნული პარკები, ნაკრძალები და აღკვეთილები	600,0	198,0	198,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	600,0	198,0	198,0	
38 09 03	ტერიტორიული ორგანოები	0,0	517,4	517,4	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0,0	174,0	174,0	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	0,0	410,3	410,3	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	0,0	82,1	82,1	
	მივლინებები	0,0	10,0	10,0	
	სხვა საქონელი და მომსახურება	0,0	15,0	15,0	
38 09 04	პროგრამა ,,დაცული ტერიტორიების მავნებლებისაგან დაცვის ღონისძიებები“	45,0	50,0	50,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	45,0	50,0	50,0	
38 10	სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი	5 934,3	6 209,9	6 209,9	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	2 107,0	1 694,0	1 694,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	4 569,3	4 146,5	4 146,5	0,0

	დამქირავებლიდან ანარიცხები	913,9	829,4	829,4	0,0
	მივლინებები	38,4	65,0	65,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	267,7	130,0	130,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	100,0	780,0	780,0	0,0
	კაპიტალური ხარჯები	45,0	259,0	259,0	0,0
38 10 01	სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის აპარატი	248,6	344,0	344,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	42,0	31,0	31,0	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	164,5	215,8	215,8	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	32,9	43,2	43,2	
	მივლინებები	10,0	25,0	25,0	
	სხვა საქონელი და მომსახურება	41,2	30,0	30,0	
	კაპიტალური ხარჯები	0,0	30,0	30,0	
38 10 02	სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის დაქვემდებარებული ორგანიზაციები	5 037,7	5 085,9	5 085,9	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	2 065,0	1 663,0	1 663,0	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	4 065,3	3 930,7	3 930,7	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	813,1	786,2	786,2	
	მივლინებები	28,4	40,0	40,0	
	სხვა საქონელი და მომსახურება	85,9	100,0	100,0	
	კაპიტალური ხარჯები	45,0	229,0	229,0	
38 10 03	სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის პროგრამები	648,0	780,0	780,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	339,5	0,0	0,0	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	67,9	0,0	0,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	140,6	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	100,0	780,0	780,0	0,0
38 10 03 01	,,ტყეთმოწყობა“	100,0	100,0	100,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	100,0	100,0	100,0	
38 10 03 02	,,ტყის დაცვა, აღდგენა-განახლება და ტყითსარგებლობა“	548,0	680,0	680,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	339,5	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	67,9	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	140,6	0,0		
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	680,0	680,0	
38 11	ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი	1 772,5	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	376,0	0,0	0,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	973,2	0,0	0,0	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	194,6	0,0	0,0	0,0

	მივლინებები	7,0	0,0	0,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	85,4	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	456,6	0,0	0,0	0,0
	კაპიტალური ხარჯები	55,7	0,0	0,0	0,0
38 11 01	ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის აპარატი	169,9	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	28,0	0,0		
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	121,0	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	24,2	0,0		
	მივლინებები	5,0	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	15,0	0,0		
	კაპიტალური ხარჯები	4,7	0,0		
38 11 02	ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოები	1 066,0	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	348,0	0,0		
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	852,2	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	170,4	0,0		
	მივლინებები	2,0	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	15,4	0,0		
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	20,0	0,0		
	კაპიტალური ხარჯები	6,0	0,0		
38 11 03	საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს მონიტორინგის სამსახური	386,3	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	386,3	0,0		
38 11 04	არაბელსაყრელ ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებზე აქტიური ზემოქმედებისა და რადიოლოკაციური უზრუნველყოფის სამსახური	50,3	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	50,3	0,0		
38 11 05	ჰიდრომეტეოროლოგიური და გარემოს დაბინძურებაზე დაკვირვებისა და მონაცემთა დამუშავების სისტემის რეაბილიტაცია	100,0	0,0	0,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	55,0	0,0		
	კაპიტალური ხარჯები	45,0	0,0		
38 12	გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტი	239,9	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	22,0	0,0	0,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	96,4	0,0	0,0	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	19,3	0,0	0,0	0,0
	მივლინებები	4,5	0,0	0,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	119,7	0,0	0,0	0,0
38 12 01	გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის აპარატი	139,9	0,0	0,0	0,0

	მომუშავეთა რიცხოვნობა	22,0	0,0		
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	96,4	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	19,3	0,0		
	მივლინებები	4,5	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	19,7	0,0		
38 12 02	პროგრამა „გეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოები“	100,0	0,0	0,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	100,0	0,0		
38 13	საქართველოს კოსმოსური სააგენტო	98,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	98,0	0,0		
38 14	სამეცნიერო-საწარმოო ცენტრი „საქნაპირდაცვა“	34,4	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	34,4	0,0		
38 15	გარემოს დაცვის ინსპექცია	310,0	3 302,2	3 302,2	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	90,0	300,0	300,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	180,4	2 151,4	2 151,4	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	36,1	430,3	430,3	0,0
	მივლინებები	27,5	120,0	120,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	66,0	400,5	400,5	0,0
	კაპიტალური ხარჯები	0,0	200,0	200,0	0,0
38 15 01	გარემოს დაცვის ინსპექციის აპარატი	271,2	1 136,6	1 136,6	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	70,0	63,0	63,0	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	153,9	488,4	488,4	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	30,8	97,7	97,7	
	მივლინებები	26,5	100,0	100,0	
	სხვა საქონელი და მომსახურება	60,0	300,5	300,5	
	კაპიტალური ხარჯები	0,0	150,0	150,0	
38 15 02	გარემოს დაცვის ინსპექციის ტერიტორიული ორგანოები	38,8	2 165,6	2 165,6	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	20,0	237,0	237,0	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	26,5	1 663,0	1 663,0	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	5,3	332,6	332,6	
	მივლინებები	1,0	20,0	20,0	
	სხვა საქონელი და მომსახურება	6,0	100,0	100,0	
	კაპიტალური ხარჯები	0,0	50,0	50,0	
38 16	სივრცული ინფორმაციის ცენტრი	0,0	100,0	100,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	100,0	100,0	

38 17	პროგნოზირებისა და მონიტორინგის ცენტრი	0,0	2 222,4	2 222,4	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	2 222,4	2 222,4	
38 18	უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების ხარჯები	21 701,6	16 797,8	2 800,1	13 997,7
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	21 701,6	16 797,8	2 800,1	13 997,7
38 18 01	ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ღია პროგრამის ფარგლებში ხარაგაული-ძირულას გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	520,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	520,0	0,0		
38 18 02	ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ფაზა-1 KFW	721,6	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	721,6	0,0		
38 18 03	კომუნალური ინფრასტრუქტურის პროგრამა ფაზა-1 KFW (A+F)	620,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	620,0	0,0		
38 18 04	დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი	4 450,3	6 879,6	606,4	6 273,2
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	4 450,3	6 879,6	606,4	6 273,2
38 18 05	სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროექტი	3 793,0	2 330,9	436,2	1 894,7
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	3 793,0	2 330,9	436,2	1 894,7
38 18 06	სატყეო სექტორის განვითარების პროექტი	8 204,2	5 663,9	1 556,3	4 107,6
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	8 204,2	5 663,9	1 556,3	4 107,6
38 18 07	კოლხეთის დაბლობზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების პროექტი	1 392,5	1 045,4	81,0	964,4
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 392,5	1 045,4	81,0	964,4
38 18 08	ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული ტყე-პარკის პროგრამა	220,0	218,4	0,0	218,4
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	220,0	218,4		218,4
38 18 09	ეკორეგიონალური კონსერვაციის პროგრამა ჯავახეთი	1 780,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 780,0	0,0		
38 18 10	ციფრული და ტოპოგრაფიული რუქების შექმნა საქართველოში	0,0	659,6	120,2	539,4
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	659,6	120,2	539,4

2006 – 2009 წლებში ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებია:

1. გარემოს დაცვის სისტემის სრულყოფა.
2. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სისტემის სრულყოფა.

1) გარემოს დაცვის სისტემის სრულყოფა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება შემდეგი პროგრამები:

- საქართველოს მოსახლეობის რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- მაღალი ეკოლოგიური რისკის მქონე ობიექტების მშენებლობისა და ოპერირების პერიოდში გარემოსდაცვითი მონიტორინგი;
- ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებები;
- დაცული ტერიტორიების მავნებლებისაგან დაცვის ღონისძიებები;
- ტყის დაცვა, აღდგენა-განახლება და ტყითსარგებლობა.

პროგრამა: ,,საქართველოს მოსახლეობის რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა“

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- არსებული საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზირება საერთაშორისო კანონმდებლობასთან;
- ადგილებზე მაიონებელი გამოსხივების წყაროების მოხმარება-შენახვის პირობების შესწავლა;
- უპატრონო ან სუსტი კონტროლის ქვეშ მყოფი რადიოაქტიური წყაროების გამოვლენა და მათი გადატანა ახლად აშენებულ დროებით შესანახში უსაფრთხოდ განთავსების მიზნით;
- უკანონო რადიოაქტიური ტვირთების დასაკავებლად მესაზღვრე-მებაჟეებთან სემინარების ჩატარება მათი უნარ-შესაძლებლობების გაზრდის მიზნით.

მოსალოდნელი შედეგები:

- უპატრონო რადიოაქტიური წყაროების მოძიება და მათი გაუვნებელყოფა;
- ლიცენზიანტების მიერ ნაკისრი ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების ნორმების შესრულების შემოწმება;
- საქართველოს საზღვრებზე ბირთვული მასალისა და რადიაქტიური ნივთიერებების მოძრაობის გაკონტროლება.

პროგრამა: ,,მაღალი ეკოლოგიური რისკის მქონე ობიექტების მშენებლობისა და ოპერირების პერიოდში გარემოსდაცვითი მონიტორინგი“

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- დამოუკიდებელი მონიტორინგის ჯგუფის შესაძლებლობების გაძლიერება;
- რეგიონალური სამსახურების შესაბამისი სტრუქტურების გაძლიერება, სემინარების ჩატარება, კვალიფიკაციის ამაღლება და თანამედროვე ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა;
- საინფორმაციო ცენტრის აქტიური ფუნქციონირება;

- მაღალი ეკოლოგიური რისკის მქონე ობიექტებზე საერთაშორისო მონიტორინგის პრაქტიკისა და მეთოდოლოგიის დანერგვის კოორდინირება.

მოსალოდნელი შედეგები:

- შემოწმდება BTC Co.-ს მიერ განხორციელებული სამუშაოების შესაბამისობა მათ მიერვე ნაკისრ ვალდებულებებთან, რაც გათვალისწინებულია საქმიანობაზე გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებით და ტერიტორიის მფლობელ ქვეყანასთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- მონიტორინგის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (რაც დაფუძნებულია დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებასა და სტანდარტებზე) ჩამოყალიბდება მაღალი ეკოლოგიური რისკის მქონე ობიექტების კონტროლის სფეროში ერთიანი მონიტორინგის სისტემა.

პროგრამა: ,,ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებები‘‘

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:
- გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ამ საქმიანობის პოტენციური ეკოლოგიური საშიშროების რისკის შეფასება;
- გარემოს დაცვით მოთხოვნათა და გარემოს დაცვის ნორმათა გათვალისწინებით დასაბუთებული საექსპერტო დასკვნების მომზადება დამოუკიდებელ ექსპერტთა მონაწილეობით.

მოსალოდნელი შედეგები:

- გარემოსდაცვითი მოთხოვნების, რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინების საფუძველზე გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებაზე კონტროლის განხორციელება.

პროგრამა: ,,ტყის დაცვა, აღდგენა-განახლება და ტყითსარგებლობა‘‘

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- ტყის ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები;
- ტყის მავნე დაავადებათა პროფილაქტიკურ-სალიკვიდაცო ღონისძიებები;
- ტყის უკანონოდ მომპოვებელთა გამოსავლენად რეიდების მოწყობა;
- ჭრაგავლილ უბნებში ფართობების გაწმენდა, დარგვა და თესვა;
- ტყის მდგრადი, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება;
- ტყეთმოწყობით დაგეგმილი მოცულობის ფარგლებში ტყეკაფების გამოყოფა;
- სატყეო-სამეურნეო გზების დაპროექტება და მშენებლობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- ტყის ფონდის შენარჩუნება და დაცვა განადგურების, დაზიანების და სხვა უარყოფითი ზემოქმედებისაგან;
- ტყით დაუფარავ ფართობებზე და დაბალი სიხშირის კორომებში მოხდება ტყის აღდგენა-გაშენება;

- მოხდება მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ენერგორესურსებზე და ტყის ფონდის ტერიტორიაზე მერქნული და არამერქნული რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

პროგრამა: „დაცული ტერიტორიების მავნებლებისაგნ დაცვის ღონისძიებები“
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:
- ახალი თანამედროვე სისტემის სატაბელო ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა დაცული ტერიტორიების ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით;
- გაუმჯობესდება დაცული ტერიტორიების მართვა და დაცვის ხარისხი.

2) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სისტემის სრულყოფა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება შემდეგი პროგრამა:
– ტყეთმოწყობა;

პროგრამა: „ტყეთმოწყობა“
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:
- სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური და სპეციალური კარტოგრაფიული სამუშაოების ჩატარება;
- სახელმწიფო ტყის და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების საზღვრების დადგენა;
- სახელმწიფო ტყის ფონდის ბიოლოგიური, პათოლოგიური და სხვა სპეციალური გამოკვლევების ჩატარება.

მოსალოდნელი შედეგები:
- მოხდება ტყეების რეალური მდგომარეობის, მათი სახეობრივი შემადგენლობისა და ხნოვანებითი სტრუქტურის დადგენა, სახელმწიფო ტყის ფონდის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება;
- გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი იშვიათი რელიქტური, ენდემური და განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების უბნების გამოვლენა.

მუხლი 54. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური

განისაზღვროს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 25 200.0 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

ორგანიზაციული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2005 წლის გეგმა	2006 წლის გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ.კრედიტები და გრანტები
39 00	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	32 975,1	25 200,0	25 200,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	5 452,0	3 420,0	3 420,0	

	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	11 808,2	13 633,5	13 633,5	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	3 271,7	3 246,7	3 246,7	
	მივლინებები	600,0	400,0	400,0	
	სხვა საქონელი და მომსახურება	6 189,3	4 069,8	4 069,8	
	მ.შ. კვების ხარჯები	590,0	300,0	300,0	
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	4 548,2	2 600,0	2 600,0	
	კაპიტალური ხარჯები	6 557,7	1 250,0	1 250,0	

მუხლი 55. საქართველოს სახალხო დამცველის სამსახური

განისაზღვროს საქართველოს სახალხო დამცველის სამსახურის 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 1 810.4 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2005 წლის გეგმა	2006 წლის გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ.კრედიტები და გრანტები
40 00	საქართველოს სახალხო დამცველის სამსახური	1 499,5	1 810,4	1 216,0	594,4
	მომუშავეთა რიცხოვნობა	60,0	60,0	60,0	0,0
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	480,0	616,0	616,0	0,0
	დამქირავებლიდან ანარიცხები	96,0	123,0	123,0	0,0
	მივლინებები	30,0	25,0	25,0	0,0
	სხვა საქონელი და მომსახურება	142,0	235,0	235,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	687,5	776,4	182,0	594,4
	კაპიტალური ხარჯები	64,0	35,0	35,0	0,0
40 01	საქართველოს სახალხო დამცველის სამსახურის აპარატი	812,0	1 034,0	1 034,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	60,0	60,0	60,0	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	480,0	616,0	616,0	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	96,0	123,0	123,0	
	მივლინებები	30,0	25,0	25,0	
	სხვა საქონელი და მომსახურება	142,0	235,0	235,0	
	კაპიტალური ხარჯები	64,0	35,0	35,0	
40 02	უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების ხარჯები	687,5	776,4	182,0	594,4
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	687,5	776,4	182,0	594,4
40 02 01	სახალხო დამცველის ოფისის დახმარება	687,5	776,4	182,0	594,4

	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	687,5	776,4	182,0	594,4

მუხლი 56. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია

განისაზღვროს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 444.9 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2005 წლის გეგმა	2006 წლის გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ.კრედიტები და გრანტები
41 00	საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია	395,5	444,9	444,9	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	63,0	0,0		
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	246,6	0,0		
	დამქირავებლიდან ანარიცხები	49,3	0,0		
	მივლინებები	7,0	0,0		
	სხვა საქონელი და მომსახურება	92,6	0,0		
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	444,9	444,9	

კომისია არის კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებია:

- საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება, ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების საქმიანობის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და ქვეყანაში განვითარებული კაპიტალის ბაზრის ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა;
- ინვესტორთა უფლებების ეფექტიანი დაცვა, საინვესტორო კაპიტალის მოზიდვისათვის საჯაროობისა და უსაფრთხოების პირობების შექმნა, ფასიანი ქაღალდების ინდუსტრიაში ღია, ხელმისაწვდომი ინფორმაციული სისტემის დამკვიდრება;
- კორპორაციული მართვის სრულყოფა, კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებისათვის ხელშეწყობა;
- საქართველოს ფასიანი ქაღალდების სფეროსა და კორპორაციული კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროპის კანონმდებლობასთან;
- ფასიანი ქაღალდების ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება;
- 2006-2009 წლებისათვის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის ცალკეული სტრატეგიული მიმართულების მიხედვით ძირითადი მიზნებია:
- ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისას ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა, სამართლიანი ვაჭრობის დამკვიდრების ხელშეწყობა;

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა: უკეთესი ინფორმაციული ნაკადის მიწოდება საქართველოს მოსახლეობისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის ინტერნეტისა და ვებ-გვერდის საშუალებით;

- ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების ლიცენზირება, მათ საქმიანობაზე ზედამხედველობა;

- ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მიმოქცევის სფეროში დარღვევების გამოვლენა და აღკვეთა, ამ მიზნით შემოწმებების ჩატარება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა და ადმინისტრაციული სახდელების დაკისრება;

- გაათვითცნობიეროს კორპორაციები თავიანთ ვალდებულებებში კორპორაციული მართვის თვალსაზრისით ,,ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ და ,,მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული მოთხოვნებიდან გამომდინარე;

- წინადადებების და პროექტების მომზადება საკანონმდებლო ცვლილებების განსახორციელებლად და იმ ვაკუუმის შესავსებად, რომელიც არსებობს აქციონერთა უფლებების დაცვასა და კორპორაციული მართვის სტანდარტებზე გადასვლისა და ზედამხედველობის პროცესში;

- შეიმუშაოს მარეგულირებელი აქტები მუნიციპალურ ობლიგაციებთან დაკავშირებით;

- კომისიის იურისდიქციის ფარგლებში არასახელმწიფო საპენსიო სისტემის რეგულირება;

- საწარმოთა პრივატიზების ხელის შეწყობა საფონდო ბირჟის, როგორც ღია სააუქციონო სისტემის მეშვეობით;

- ურთიერთობის გამყარება საქართველოს მეზობელი ქვეყნების ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელ ორგანოებთან.

მოსალოდნელი შედეგები:

- გაიზრდება კომისიის მიერ მიღებული კორპორაციათა შესახებ ფინანსური ინფორმაცის ანალიზი და მისი დისტრიბუცია;

- გაძლიერდება მონიტორინგი ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების განმახორციელებელ სააქციო საზოგადოებებში საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაზე;

- გაიზრდება ინვესტორთა უფლებების საკანონმდებლო და სასამართლო უზრუნველყოფა;

- ფასიანი ქაღალდების სფეროში მიღებული იქნება 4 ახალი წესი, მათ შორის ნორმატიული აქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს კანონების ჰარმონიზებას ევროპის კანონმდებლობასთან;

- საფონდო ბაზარზე უზრუნველყოფილი იქნება ახალი ფინანსური ინსტრუმენტების, პირველ რიგში, კორპორაციული ობლიგაციის მიმოქცევა;

- გაგრძელდება მცდელობა მეორადი ბაზრის მეშვეობით პრივატიზების პროცესის განსახორციელებლად, ამისათვის საქართველოს საფონდო ბირჟაზე პროგრამულად უზრუნველყოფილი გახდება სრულყოფილი კონკურენტული ვაჭრობა და შეუძლებელი იქნება ცრუ აუქციონების მოწყობა;

- უზრუნველყოფილი იქნება ქვეყნის ფინანსური უშიშროების მაღალი საიმედოობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, მოხდება ფასიანი ქაღალდების მეშვეობით ფულის გათეთრების წინააღმდეგ სისტემის სრულყოფა, უზრუნველყოფილი იქნება საბირჟო და არასაბირჟო ვაჭრობის უსაფრთხოება;

- დაძლეული იქნება ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და მისი რეგულირების მნიშვნელობის არასათანადო შეფასების საშიშროება;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის კომისია მიიღებს 40-ზე მეტ ნორმატიულ აქტს.

მუხლი 57. საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო

განისაზღვროს საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 486,1 ათას ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2005 წლის გეგმა	2006 წლის გეგმა	მ.შ. სახელმწიფო სახსრები	მ.შ.კრედიტები და გრანტები
42 00	საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო	486,1	486,1	486,1	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	35,0	35,0	35,0	
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	308,0	308,0	308,0	
	დამქირავებლიდან ანარიცხები	61,6	61,6	61,6	
	მივლინებები	25,0	25,0	25,0	
	სხვა საქონელი და მომსახურება	61,5	61,5	61,5	
	კაპიტალური ხარჯები	30,0	30,0	30,0	

2006 წელს სააგენტოს სტრატეგიის ძირითადი მიმართულებაა:

კონკურენტუნარიანი საინვესტიციო გარემოს შექმნა და ახალი ინვესტიციების მოზიდვა;

სტრატეგიის ძირითადი მიზნებია:

- საკანონმდებლო ბაზის, ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების ეროვნული მარეგულირებელი წესებისა და სალიცენზიო ფართობების გამოყოფის შემდგომი სრულყოფა;
- არსებული მარაგების გადათვლა თანამედროვე მეთოდიკის გამოყენებით;
- ნავთობის და გაზის რესურსების სრული ბალანსის შედგენა;

- მცირედებეტიანი ჭაბურღილების მდგომარეობის შესწავლა და მათი ამოქმედება ნავთობის და გაზის მოპოვების გაზრდის მიზნით;
- არსებული მონაცემებისა და კომპანიებისგან მიღებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსიების შექმნა, ანალიზი და მონაცემთა ერთიანი კომპიუტერული ბაზის შექმნა;
- საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და ტექნიკური მოთხოვნების საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა.

მოსალოდნელი შედეგები:
- შედგენილი იქნება ნავთობისა და გაზის რესურსების ბალანსი;
- შემუშავდება მცირედებეტიანი ჭაბურღილების ამოქმედების პრინციპები;
- საკანონმდებლო ბაზის, ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების ეროვნული მარეგულირებელი წესებისა და სალიცენზიო ფართობების გამოყოფის შემდგომი სრულყოფა;
- მოზიდული იქნება ინვესტიციები 60-100 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით;
- გაიზრდება ნავთობისა და გაზის მოპოვება 150 000 ტონამდე;
- დაინერგება ნავთობისა და გაზის გადამუშავების სფეროში საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ტექნოლოგიები.

2006-2009 წლებში სააგენტოს ძირითადი სტრატეგიული მიმართულებაა
- კონკურენტუნარიანი საინვესტიციო გარემოს შექმნა და ახალი ინვესტიციების მოზიდვა.

სტრატეგიის ძირითადი მიზნებია:

- არსებული რესურსების/მარაგების გადათვლა თანამედროვე მეთოდიკის გამოყენებით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- არსებული რესურსების უკეთ გამოყენების მიზნით მცირედებეტიანი ჭაბურღილების ამოქმედება;
- მონაცემთა ინფორმაციის ცენტრალური საინფორმაციო ბანკის შექმნა;
- ადგილობრივი ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების და ნავთობპროდუქტების მაჩვენებელთა ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება;
- მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის ღონისძიებების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- კონკურენტუნარიანი და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება;
- ახალი ინვესტიციების მოზიდვა (დაახლოებით 350 მლნ აშშ დოლარი);
- მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა მცირედებეტიანი ჭაბურღილების ამოქმედებისა და მცირე ფართობების ლიცენზირების გზით;
- ნავთობის და გაზის მოპოვების გაზრდა 500 000 ტონამდე;
- ნავთობის და გაზის გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა.

მუხლი 58. საქართველოს საპატრიარქო

განისაზღვროს საქართველოს საპატრიარქოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 1 895.0 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

ორგანიზაციული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2005 წლის გეგმა	2006 წლის გეგმა	მ.შ. სახელმწიფო სახსრები	მ.შ.კრედიტები და გრანტები
43 03	საქართველოს საპატრიარქო	1 290,1	1 895,0	1 895,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 290,1	1 895,0	1 895,0	0,0
43 03 01	სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი	786,4	786,4	786,4	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	786,4	786,4	786,4	
43 03 02	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი	503,7	503,7	503,7	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	503,7	503,7	503,7	
43 03 03	ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის ბავშვთა გიმნაზია-პანსიონი	0,0	324,9	324,9	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	324,9	324,9	
43 03 04	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატი	0,0	280,0	280,0	0,0
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0,0	280,0	280,0	

სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი მოხმარდება ორ სასულიერო აკადემიას, გელათის მეცნიერებათა აკადემიას, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ხუთ სასულიერო სემინარიას და 20-ზე მეტ გიმნაზიას.

საქართველოს საპატრიარქოს წმ. სიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი წარმოადგენს განსაკუთრებული ტიპის სპეციალურ დაწესებულებას, რომელიც მოიცავს ობოლი, მშობლებისგან მიტოვებული, მზრუნველობამოკლებული, უსახლკარო და უკიდურესად გაჭირვებული ბავშვების პანსიონატს, რამდენიმე ბაგა-ბაღსა და გიმნაზიას ზესტაფონსა და ხარაგაულში. ამ ცენტრის დაფინანსება განკუთვნილია როგორც მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებისათვის, ასევე ბავშვთა კვების, ჩაცმა-დახურვის, მკურნალობის და საცხოვრებელი პირობების შექმნისათვის.